სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოსროშვილი

● № 3 (4578) ● 27 თებერვალი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ - ევროსტანდარტებს თვალს უსწორებს

„რეფორმის ფარგლებში სიახლეებს ვნერგავთ“



თეკლა გიორგაძის გამოფენა

სტატიის სათაური პედკოლექტივის სარეფორმო განაცხადიდან ავიღეთ. აი ისიც: „განათლების სამინისტროს ინიციატივას დადებითად ვაფასებთ, რეფორმის ფარგლებში სიწახლეებს ვნერგავთ, ვხელმძღვანელობთ **ესგ**-ში მითითებული სტანდარტებით და თითოეული ჩვენი აქტივობა ემსახურება მოსწავლის ცხოვრებისთვის მომზადებას, სათანადო უნარების ჩამოყალიბებას. სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლემ შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ სწორი პოზიციის გამოხატვა, საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს სხვის ხარჯზე, იყოს ტოლერანტი, კომუნიკაბელური ინდივიდებთან და ჯგუფებთან“.

ამ სარეფორმო მოთხოვნებს სკოლა-ლიცეუმი ყოველთვის ერთგულად მისდევდა და ევროსტანდარტების დონეზე ახორციელებდა. ახალმა ინიციატივებმა კი უფრო გაამდიდრა პედაგოგთა შემოქმედებითი არსენალი, მაღალი შედეგებისათვის უფრო ორიენტირებული გახადა, ახალი ამოცანები და პროექტები დაუსახა. სკოლა-ლიცეუმი მზად არის ამ ამოცანების გადასაჭრელად. რა გვაძლევს ამის გარანტიას? რა და, ძლიერი, შრომისმოყვარე მასწავლებლები და გამოცდილი, შემოქმედი დირექტორი. მრავალნაცადი ხელმძღვანელი სკოლა-ლიცეუმისა **ნაზი ნადირაძე** ღვაწლმოსილი პედაგოგია, 38 წლის სტაჟის მქონე ჩინებული მასწავლებელი გეოგრაფიისა, 71-ე საჯარო სკოლაში დიდხანს მოღვაწეობდა წარმატებულ პედაგოგად, შემდეგ - დირექტორის მოადგილედ, დირექტორად. აგერ უკვე მეათე წელია ამ მდიდარი გამოცდილებას, როგორც დირექტორი, ეფექტიანად იყენებს სკოლა-ლიცეუმში. სკოლის სახელწოდებაც ხომ სიმბოლურია, პროფილის შესატყვისი - **„ცოდნა“** ე. ი. საფუძვლიანი, კონკურენტუნარიანი ცოდნით აღჭურვა მოსწავლე-ახალგაზრდობისა.

დირექტორს მხარს უმშვენებენ ასევე მაღალპროფესიონალი, ინიციატივიანი მოადგილეები: **ნონო მელქაძე** და **რუსუდან ფარეხაშვილი.** სკოლა-ლიცეუმის წარმატებებში დიდი არის წვლილი მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე **აიდა ფანჩვიძისა.** მოწოდების სიმაღლეზეა მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ნიჭიერი, ენთუზიასტი მოსწავლე **ანი ბუნტური.** თვითმართველობას საინტერესო ღონისძიებებით ხალისი და სიცოცხლე შეაქვს სკოლა-ლიცეუმის ცხოვრებაში.

„ცოდნა“ მდებარეობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. მას აქვს ულამაზესი ეზო, სპორტული დარბაზი, კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, დიდი და ნათელი სააქტო დარბაზი და ისტორიის კაბინეტი. ფუნქციონირებს კაფეტერია. მოკლედ, აქ ყველა პირობაა შექმნილი კომფორტული სწავლებისათვის. „ცოდნამ“ დაფუძნებიდან **20 წლის** იუბილე უკვე გადაიხადა, მომავალ წელს კი **25 წლისა** გახდება.

მოდი, გავიხსენოთ ერთი ბრძენკაცის ნათქვამი ფორმულა **„კადრები წყვეტენ ყველაფერსო“.** ბევრ სკოლას შეშურდება აქ მოღვაწე პროფესიონალი, გამოცდილი მასწავლებლებისა: ყველაზე უმთავრესი, საქმის თავიდათავი ხომ კვალიფიციური კადრებია. აქ სწავლა-აღზრდის საქმეს უნარიანად უძღვება 16 პრაქტიკოსი, 18 უფროსი და ერთი წამყვანი პედაგოგ-პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **გიორგი ღვალაძე.**

მათემატიკური ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, საგნობრივ-მეთოდური კათედრების მოქნილი მუშაობა პირდაპირ-პროპორციულია სწავლა-აღზრდის დარგში მაღალი შედეგებისა და ასეც არის. უნარიანად ხელმძღვანელობენ კათედრებს მოწინავე მასწავლებლები: დაწყებითი კლასებისა და ესთეტიკის კათედრას - **მედეა ბოლქვაძე,** ქართულისას - **დარეჯან ცხომარია,** მათემატიკისას - **ციალა ცაბაძე,** უცხოური ენებისას - **თათია ლაბაძე,** საზმეცნიერებისას - **ბელა გობეჯიშვილი,** საბუნებისმეტყველოს - **ბელა თოდუა.**

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“, - გვასწავლია ბიბლია. მასწავლებლის შრომა მისი აღზრდილებით ფასდება და ამ მხრივ პედაგოგთა მიერ გაწეულ ღვაწლზე შევჩერდეთ. როგორც ცნობილია, საგაკვეთილო პროცესთან ერთად წარმატების გარანტი არის მოსწავლეთა ჩართულობა - აქტივობები **სასწავლო ღონისძიებებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში, პროექტებში.** ბევრს რომ გავიძახით, უნარებიო, დამოუკიდებელი აზროვნებაო, ლოგიკური მსჯელობაო, მოსწავლეებში სწორედ ამ პროცესში ყალიბდება ეს თვისებები და არა მომთხოვნელობის შესუსტებისა და გამოცდებისაგან განთავისუფლების მეოხებით.

ამ კუთხით კი სკოლა-ლიცეუმში მდგომარეობა სასიხარულოა. მოკლედ წარმოგიდგენთ მიღწეული შედეგების ჩამონათვალს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი **„მეგობარო, ხელი გამომიწოდე“!** რომელიც განახორციელა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **დარეჯან ცხომარიამ,** იგი მიზნად ისახავდა არაქართულენოვან მოსწავლეებთან დამეგობრებასა და საერთო ინტერესების გამოკვეთას. პროექტში სკოლა-ლიცეუმ **„ცოდნასთან“** ერთად მონაწილეობდნენ **შაუმიანის №1 და №2 საჯარო სკოლის** მასწავლებლები და მოსწავლეები.

„ცოდნის“ ბეჯითი მოსწავლე **ნიკა ალავიძე,** ბელორუსიაში გამართულ საესტრადო სიმღერების კონკურსში მონაწილეობდა და ჟიურის მოწონება დაიმსახურა. ნიკა უამრავი პრიზით ხელდამშვენებული დაბრუნდა საქართველოში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაციის მიზნით ხშირად ტარდება საინტერესო აქტივობები ფიზიკის დეპარტამენტში, ექსპერიმენტორიუმში, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში დირექტორის მოადგილის **რუსუდან ფარეხელაშვილისა** და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის თავჯდომარის **ბელა თოდუას** ხელმძღვანელობით.

13 დეკემბერს სახვითი ხელოვნების მუზეუმი მასპინძლობდა სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ XII კლასის მოსწავლის **თეკლა მელაძის** პერსონალურ გამოფენას, რომელმაც დამთვალიერებლების დიდი მოწონება დაიმსახურა.

სკოლაში ყოველწლიურად იმართება საქველმოქმედო აქცია. წელს კი მოსწავლეები საახალწლო საჩუქრებითა და ტკბილეულით ესტუმრნენ მრავალშვილიან ოჯახს და განსაკუთრებული საჭიროების მქონე თანატოლებს (სსსმ **ანა ტყემალაძე, ჩიკვაიძეების** ოჯახი და სხვა) და გული გაუხარეს.

საამაყოა ის ფაქტი, რომ „ცოდნას“ მეორე კლასის მოსწავლე **ბარბარე ბაიაშვილი,** (მასწავლებელი **მედეა ბოლქვაძე**), ოლიმპიადა „ევერესტის“ საუკეთესო ათეულ მოსწავლეთა რიგებში მოხვდა. ასევე აღსანიშნავია **„კინგსის“**

→ გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ - ევროსტანდარტებს თვალს უსწორებს

პირველი გვერდიდან

ოლიმპიადის მონაწილეთა მიღწევები, რის გამოც სკოლა დაჯილდოვდა წარმატების სერთიფიკატით, როგორც საუკეთესო ათეულში გასული ფინალისტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენაში და მათემატიკაში.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტური ქართულ ენასა და ლიტერატურაში მაღალი შედეგებით გადალახა **კონსტანტინე გაჩეჩილაძემ.**

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული **„ეტალონის“** ინტელექტ-ჩემპიონატში და გლდანის ინტელექტ-ჩემპიონატის ყველაზე მაღალქულიან მოსწავლეების ათეულში მოხვდნენ. სკოლის მოსწავლეები ინტერესით მუშაობენ **izrune.ge**-ს ტესტებზე და ყოველთვიურად იღებენ ვერცხლისა და ოქროს დიპლომებს.

ლიკა ლაგვილავას კლასი

სკოლის გუნდმა **„მწვანე სიცოცხლე“,** რომელიც ჩართულია **ნიკო კეცხოველის** სასკოლო კონკურსში, წარმატებით გადალახა პირველი ტური. გუნდი ემზადება ფინალში მოსახვედრად **რუსუდან ფარეხელაშვილი** ხელმძღვანელობით.

გასული სასწავლო წელი ოქროს მედალზე დაამთავრა ორმა მოსწავლემ **ლილი სალაძემ** და **ელენე ღამბარაშვილმა.** 12 სკოლადამთავრებულიდან 100%-იანი გრანტი უმაღლეს სასწავლებელში ეროვნული გამოცდებზე მოიპოვა სამმა, 70%-იანი და 50%-იანი კი - თითო მოსწავლემ. ყველა მათგანი ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. სკოლის დირექტორსა და კლასის დამრიგებელს საქართველოს უნივერსიტეტიდან მადლობის წერილები მოუვიდათ ჩარიცხული წარმატებული მოსწავლეების აღზრდისათვის.

სკოლაში ფუნქციონირებს **ქართული ხალხური ცეკვებისა** და **სპორტული ტანვარჯიშის, კალათბურთისა** და **კარატეს** წრეები; სკოლას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარია მრავალფეროვანი საკითხავი ლიტერატურითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით. მკითხველებთან საინტერესო ღონისძიებებს ატარებს გამოცდილი ბიბლიოთეკარი **ეკა თევზაძე.** იგი აფართოებს წიგნის მოყვარულთა წრეს, რომელიც ძალზე შეამცირა კომპიუტერმა.

ნია დათუკიშვილის კლასი

სკოლის დირექცია ყოველწლიურად გამოავლენს საუკეთესო და წარმატებულ დამრიგებლებს, რომლებიც აქტიურად მუშაობენ და წარმატებით ახორციელებენ სადამრიგებლო პროგრამას.

კლასის ხელმძღვანელები ბევრს ზრუნავენ მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, ამკვიდრებენ ჯანსაღი ცხოვრების წესს. მიმდინარე სასწავლო წელს საუკეთესო დამრიგებლებად დასახელდნენ: **რუსუდან ფარეხელაშვილი, მზია ლომიძე, ლია ბაზაძე, მედეა ბოლქვაძე, ნია დათუკიშვილი, ლიკა ლაგვილავა, ნინო სამსონაშვილი** და **თეკლე ბეგიაშვილი.**

ყველა შედეგისა და წარმატების ჩამონათვალს ამჯერად ვერ წარმოვადგინთ, ერთი რამ კი ცხადია: სკოლა-ლიცეუმ **„ცოდნის“** თანამშრომლები, პასუხისმგებლობა-მოვალეობის სრული შეგნებით იღვწიან, რომ მათი საქმიანობა ნაყოფიერი იყოს. პედაგოგები არათუ ორიენტირებული არიან მაღალ შედეგებზე, არამედ უფრო მეტზე ფიქრობენ - ეს მიზანი კი სარეფორმო მოთხოვნების ფრთაშესხმაა. გვჯერა ამ მიზანს უთუოდ მიაღწევენ.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

თეკლე ბეგიაშვილის კლასი

S. P. რედაქტორის მინაწერი: სასკოლო გამოცდების გაუქმებას ვერაფრით დავეთანხმები. ვინც ამ აზრისაა, ეტყობა, არც პედაგოგიკა იცის და არც - **დიმიტრი უზნაძის „განწყობის ფსიქოლოგია“.** უმოტივაციოს, უინტერესოს და უემოციოს ქვეყანაზე ღირებული ჯერ არაფერი შეუქმნია. გამოცდებს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს; იგი **ააქტიურებს შემეცნებით ძალებს, განამტკიცებს ცოდნას.** ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, **„გამეორება ცოდნის დედაა“.** და კიდევ - ავითარებს მოსწავლის უნარ-ჩვევებს, ნებისყოფას.

ნუ შთავაგონებთ მოზარდს, რომ **სწავლა თითქოს მხოლოდ თამაშ-გართობა იყოს. იგი თავდადებული შრომაა...** კომპიუტერმა სწავლის მძებნელს წიგნი ლამის ხელიდან გააგდებინოს და ამ ცეცხლზე კიდევ ნავთს ნუ დავასხამთ. ურიგო არ იქნება მოზარდს შთავაგონოთ წინაპართა რამდენიმე სიბრძნე: **„არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“, „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო“, „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“...** და კიდევ ერთი: არც პედაგოგი ვარგა უმოტივაციო და უსტიმულო. ამიტომ აუცილებელია აღდგეს პედაგოგის მორალურ-მატერიალური სტიმულირების ნაცადი ფორმები, პირველ რიგში: **„დამსახურებული“** და **„სახალხო მასწავლებლის“** წოდების მინიჭების წესი. არა თუ მასწავლებლის, არამედ ყველა დარგის მუშაკისათვის სასიცოცხლოდ საჭიროა ასეთი წახალისება. **ამაზე კი არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა იზრუნოს მთავრობამ და შესაბამისმა სამინისტრომ.**

სწავლების მეთოდიკა

როგორ ვასწავლოთ შემოქმედებითი აზროვნება ვოლტ დისნეის „აზროვნების სამი სკამის“ მიხედვით

შემოქმედებითი მიდგომების მორგებას გაკვეთილის გეგმაზე და მოსწავლეების დაინტერესებას მრავალფეროვანი, მიმზიდველი მასალით, ნამდვილად შეუძლია მოსწავლეებში არამარტო შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, არამედ, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება. ვინ შეიძლება ჩაითვალოს შემოქმედებით მასწავლებლად? პასუხი მარტივია – ის, ვინც ზრუნავს მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე. სწავლა-სწავლების ის მეთოდები, რომელიც შემოქმედებითობაზეა დამყარებული, დადებითად მოქმედებს მოსწავლის სწავლის მოტივაციაზე და მის დამოკიდებულებაზე.

მკვლევარები შემოქმედებითობას განიხილავენ როგორც სხვადასხვა კომპონენტის კომბინაციას. აზროვნების სტილსა და სხვა ინდივიდუალურ მახასიათებლებთან ერთად, ეს მნიშვნელოვანი კომპონენტებია ცოდნა, მოტივაცია და გარემო.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს შემოქმედებითი აზროვნება **ვოლტ დისნეის „აზროვნების სამი სკამის“** მიხედვით? — „აზროვნების 3 სკამი“ წარმოადგენს როლურ თამაშს. ეს სტრატეგია ამერიკელი პროდიუსერისა და რეჟისორის ვოლტ დისნეის სახელს უკავშირდება. სტრატეგიის არსი მდგომარეობს სამი სხვადასხვა (მეოცნების, რეალისტისა და კრიტიკოსის) პერსპექტივიდან პრობლემის ან საკითხის ხედვაში, რომლის დროსაც ხდება აზროვნების ტიპების ცვალებადობა. ეს სამივე ტიპი ყველა ადამიანში დევს, მაგრამ სხვადასხვანაირადაა გამოხატული. ეს სტრატეგია არ განიხილავს შემოქმედებით აზროვნებას ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნებისგან გამიჯნულად.

„აზროვნების 3 სკამი“, როგორც როლური თამაში, შეგვიძლია წარვმართოთ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად სამი სკამის (მეოცნების, რეალისტისა და კრიტიკოსის) საშუალებით, რომელსაც ოთახის სხვადასხვა კუთხეში განვალაგებთ. მეთოდის განხორციელება შესაძლებელია სამი სკამის გარეშეც, თუ რაიმე სიმბოლურ დეტალს მოვიაზრებთ, რომელიც აზროვნების შესაბამის ტიპს განასახიერებს.

თითოეული როლისთვის დამახასიათებელი ნიშნები: **მეოცნეზე**: განვავითაროთ ჩვენი ფანტაზია. ჩამოვაყალიბოთ ბევრი ვერსია, ბევრი იდეა, არ ვფიქრობთ შედეგებზე, უნდა ვიყოთ ცნობისმოყვარე, დავაფიქსიროთ ჩვენი სურვილები, გამოვთქვათ ყველა ჩვენი იდეა და წარმოდგენა, არ მოგვეთხოვება რომ ვიყოთ სერიოზულები, ამ სკამზე ყველაფრის უფლება გვაქვს. **რეალისტი**: უნდა ვიფიქროთ იდეების განხორციელებაზე, ვიყოთ პრაგმატულები, გეგმაზომიერი და გონივრულები, სამართლიანები და მაღალ შედეგზე ორიენტირებულები, გავითვალისწინოთ პირობები, ავირჩიოთ ყველაზე უმოკლესი და მიზანმიმართული გზა. **კრიტიკოსი**: არ უნდა ვიყოთ იდეისადმი ნეგატიურად განწყობილი, უბრალოდ კრიტიკულად შევხედოთ მას. შევაფასოთ რისკები და შესაძლებლობები და ვიყოთ ობიექტურები. ამ იდეაში პრობლემები უნდა ვიპოვოთ, მაგრამ იდეის არსის უნდა გვჯეროდეს.

მეთოდის მიმდინარეობა ჯგუფური მუშაობის მაგალითზე:

1. მასწავლებელი/მოდერატორი ინფორმაციას აძლევს მეთოდისა და განსახილველი თემის შესახებ.
2. ვაკეთებთ მოთელვას, მონაწილეებმა უნდა გაითავისონ თავიანთი როლები, ოცნების კუთხეში მათ უნდა გაიხსენონ ის დრო, როცა ოცნებებში იყვნენ გადავარდნილი.
3. ჯგუფი გადაადგილდება რეალისტის კუთხეში. რეალისტის კუთხეში ყველა მონაწილემ უნდა გაიხსენოს ის სიტუაცია, როცა მოხდა პრობლემის რეალისტურად და პრაგმატულად გაანალიზება და გადაწყვეტა.
4 კრიტიკოსის კუთხეში მათ უნდა გაიხსენონ ის სიტუაცია, სადაც იდეა ობიექტურად და კონსტრუქციულად გაუანალიზებიათ თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით.
5. მეხუთე ნაბიჯზე მოდერატორი/მასწავლებელი ჯგუფს აცნობს გადასაჭრელ პრობლემას/თემას და იწყება ნამდვილი როლური თამაში. ჯგუფი მეოცნების კუთხეში ბრუნდება და იწყება პრობლემის ირგვლივ საკუთარი ხედვებისა და იდეების განვითარება ფანტაზიასა და გიჟურ იდეებზე ფრთების შესხმა.
6. მე-6 ნაბიჯზე მოსწავლეები მიადგებიან რეალისტის კუთხეს, მათ მიერ მოპოვებულ იდეებს რეალისტურად გამოცდიან, აანალიზებენ და აფასებენ არის თუ არა იდეები მიზნის რელევანტური.
7. მე-7 ნაბიჯზე რეალისტები განიხილავენ იდეას, რისკებს და შესაძლებლობებს კონსტრუქციულად.

მეთოდის ვარიაციები

კლასი დაიყოს 3 ჯგუფად. ერთი ჯგუფის შემოქმედებით იდეებს მეორე ჯგუფი უკეთებს ანალიზს, მესამე კი კრიტიკულად აფასებს; ერთი და იმავე ჯგუფმა (ან თითუეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად) სამივე აზროვნების ტიპიდან განიხილოს ერთი და იგივე პრობლემა/თემა – თავად იპოვოს კრეატიული იდეები, გაანალიზოს და შეაფასოს. მასწავლებლის მიზანია ყველა შემთხვევაში სამივე ტიპის აზროვნების განვითარება და აზროვნების პროცესის სწორად აგება.

მანანა გუმბერიძე,

მე-10 საჯარო სკოლის ინგლისური ენის წამყვანი პედაგოგი.

სხვაგვარად არ ძალგვიძს

161-ე სკოლის პედკოლექტივის მრწამსი, ანი და ჰაე

სტანისლავსკის თქმით, თეატრი საგარდერობოდან იწყება. სკოლა კი საიდან იწყება? მასწავლებლიდან და მასწავლებლითვე მთავრდება. „ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა.“

იოსებ ნონეშვილის ლექსის ეს ბწკარები, ჩვენს გაზეთს რომ აქვს დევიზად, ყოვლისმომცველად გამოხატავს პედაგოგის უდიდეს მისიას. და რაოდენ ახარებს ყოველი ჭეშმარიტი მასწავლებლის სულსა და გულს, როცა შეგირდი, მისი ღვაწლით, აჯობებს ოსტატს და მამულსაც ხომ უხარია, რომ შვილი ჯობდეს მამასა.

დილეტანტიზმი ანგრევს ყველა დარგსა სფეროს, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეული განათლების სისტემაშია, რადგან აწმყოს ღუპავს და მომავალსაც გვარიანად უთხრის ძირს. ამიტომ დასანახი და დასაფასებელია ყოველი მრწამსით პედაგოგი, ვისაც სწორედ რომ ხელიხელსაგოგმანებელი საქმე – თაობების აღზრდა ავალია.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, ვისი მრწამსი სწორედ სამშობლოსათვის ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, მცოდნე თაობების აღზრდაა, ვისთვისაც მასწავლებლობა მხოლოდ ხელობა კი არა შინაგანი არსი და მოწოდებაა, აი, ასეთი – აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ მძალმძიმსო – ყველაზე შეგირდმრავალი 161-ე სკოლის დირექტორი ბატონი **მიხეილ მინდაძეა**. მისთვის ცნება „ზრუნვა“, ქვეყნის მსახურება ძალზე ტევადია – გაცილებით სცილდება სკოლის ფარგლებს და სამშობლოს მომავლისთვის ზრუნვა, სწორედ ყმაწვილების სიყვარულზე, მათთვის უკეთესი აწმყოსა და მომავლის შექმნაზე დაფუძნებული, ძალზე მრავალს მოიცავს, რაც ბატონი მიხეილის რწმენით, ყოველი მოქალაქის საპატიო მოვალეობაა.

თეზისურად: **1973 წელს დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი. პარალელურად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიოფიზიკის ლაბორატორიაში. 1982 წელს, პროფესორ გურამ რამიშვილთან ერთად, დააარსა ე. წ. „გერმანული“ სკოლა, პედაგოგიც გახლდათ და – დირექტორიც. 1989-1995 წლებში თბილისის განათლების სამმართველოს უფროსია. შემდეგ 27-ე საავტორო სკოლა დააარსა. განათლების სამინისტროში ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ დეპარტამენტს, თან თბილისის საკრებულოს ორი მოწვევის დეპუტატი იყო. აფხაზეთში იბრძოდა ბატალიონ „თბილისელების“ შემადგენლობაში, გაიარა ჭუბერის ჯოჯოხეთი. 1992 წელს, გერმანელებთან თანამშრომლობით, ჩამოაყალიბა საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს სამარიტელთა კავშირი“. სამი წლის განმავლობაში 3 ათასზე მეტი უქონელი იკვებებოდა თბილისში, ახალციხეში, თელავში, ხონში, ზესტაფონში... ამ ორგანიზაციის მიერ გახსნილ სასადილოებში. 3 ნაკადად 300-300 ბავშვი დაასვენეს ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთაში. აფხაზეთის ომის ვეტერანები ჰყავდათ კასპის რაიონის სოფელ გოსტიბეში განლაგებულ ფსიქორეაბილიტაციის ბანაკში... და ყოველივე ეს სკოლიდან, სამსახურიდან მოუწყვეტლივ. შთამბეჭდავია? ასეა, როცა გული გულობს, ასეა, როცა, ვმეორდები, აქ დგახარ და სხვაგვარად არ ძალგიძს.**

სიახლეები ინერგება განათლების სისტემაში. თავისთავად, სიახლე უკეთესს სულაც არ ნიშნავს. ყურები გამოგვიჭედეს რეფორმა, რეფორმების ძახილით. არადა, რეფორმა ფრანგული სიტყვაა და სწორედ სიახლეს ნიშნავს და რა ხეირიც დაგვაყარა ამ რეფორმებმა, მიმოვიხედოთ. ახლა გამოცდები გააუქმეს. ერთ აზრზე ვერ შეჯერებულან. ცხადია, ყურადსაღებია ამ დარგის ისეთი გამობრძმედილი, გამოცდილი მუშაკის აზრი, ბატონი მიხეილი რომაა.

მიხეილ მინდაძე: „ასეთი გამოცდები უნდა გაუქმებულიყო. კატის გამოცდები ფიქციად იქცა – ბარიერი დასწიეს, დასწიეს და, გამოცდა კი არა, შედეგად რაღაც ჩათვლის მაგვარი მივიღეთ. ვის სჭირდება ბავშვების ფუჭი წვალება, მაიმედებელია, ოღონდ, როგორც ვთქვი, შემდგომი გააზრებული, გამიზნული ნაბიჯებია აუცილებელი. საზოგადოებრივ დაკვეთაზე რა ვთქვა? ბევრი მშობელს შვილის ცოდნა-განათლება კი არ ადარდებს, არამედ – საბუთი. პირველ კლასელს რომ მისცე ატესტატი, ბევრი ამაზეც ყაბულს იქნება! ძირეულად უნდა შეიცვალოს ასეთი ვაიშეგნება! სკოლას ნიშნების დაწერა როგორ ვანდოთო. დალოცვილო, 12 წელიწადი გვანდობდი და ბოლოს აღარ გვენდობი? მიმოვიხედოთ: ყველა, ავიცა და კარგიც, ჩვენი აღზრდილია. ჩვენსავე თავს უნდა მოვკითხოთ ის ავი. რა, ციდან ჩამოფრინდა? ჯერ ჩვენს თვალში უნდა დავინახოთ დირე და

თან ასეთი სიხშირით? რეპეტიტორებს ჰქონდათ ფართო ასპარეზი. ეგღა უნდოდა ჩვენს გაჭირვებულ ხალხს? მერედა, ყმაწვილები ცოდნას იძენდნენ? ცოდნა სხვა რამაა, რეპეტიტორები კი სწორედ და მხოლოდ საგამოცდოდ, ერთი დღისთვის ამზადებდნენ. უნარ-ჩვევები? როგორ ასწავლი ცალკე საგნად? სკოლის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება ხომ სხვადასხვა უნარ-ჩვევის გამომუშავებაა? ნებისმიერი სავარჯიშო თუ ამოცანა, მაგალითი საამისოდაც არის გამიზნული: წიგნზე მუშაობის, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების, ვითარებაში მყისიერად გარკვევის, აზროვნების განვითარების და ა. შ. უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. სხვაა, რამდენად ხარისხიანად ახერხებს ამას სკოლა. სწორედ სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის უნდა ვიზრუნოთ; საამისოდ რეალური, გააზრებული ნაბიჯები გადავდგათ, თორემ ისე, გამოცდები გინდ გაუქმებულა, გინდა – არა. მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟი უნდა ამაღლდეს. რა ვქნა, სხვა გზა არ იყო, მასწავლებელი გავხდიო. ასე თუ იტყვის, ასე თუ აზროვნებს მავანი, მისი ადგილი

სკოლაში არ არის. ყველაზე საამაყო, ყველაზე საჭირო და საპატიო პროფესია მაქვს; კი, მცირე ხელფასია, კი, ასევე მცირედ დაფასებული, მაგრამ ყველაზე საამაყო და საჭირო. ასე მსჯელობს არსით პედაგოგი. საამისოდ კი სახელმწიფო ნება და საზოგადოების დაკვეთა უნდა იყოს. ვნახოთ, დასაწყისი და-

ეყოლებათ; ერთიანი ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მე-3 ტურში გაიმარჯვეს: ისტორიაში – **ნოდარ ლილუაშვილმა** და **თათული შავიშვილმა**; რუსულში – **ანასტასია ხაზარაძემ** და კვლავ **ნოდარ ლილუაშვილმა**; კინგსის ოლიმპიადაში საქართველოში პირველია იმ მოსწავლეთა რაოდენობით, ვინც ფინალურ ტურებში დიპლომები დაიმსახურეს. წინსვლის, რაოდენობის ხარისხში გადასვლის დამარწმუნებელი მაგალითებია, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მთლიანად მოიცავს სკოლას, თითოეულ მოსწავლეს, რისი დასტურიც, აღნიშნულთან ერთად, მრავალი გრანტი, სიგელი, მადლობა, მოსწავლეთა

მერეღა დავუწყოთ ძებნა სხვის თვალში ბეწვს! თუ ასეთი შეგნება, ასეთი მრწამსი არ გვექნა, აწმყოსაც დავღუპავთ და მომავალსაც.“

2700-მდე მოსწავლე. ეს ხომ ამდენივე ზნე, ხასიათი, მისწრაფება და შეხედულებაა? თანაც, ასაკობრივი. სკოლის 150-მდე პედაგოგი, შემოქმედი, მცოდნე, სწორად შერჩეული და გამორჩეული დირექციის: დირექტორის პირველი მოადგილის ქალბატონ **ნანა ტაბატაძის**, მოადგილეების – ქალბატონების: **როზა კაკულიასა** და **ნათელა წულაიას**, კოორდინატორ, ქალბატონ **მაია ფანჩულიძის** ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ისე ახერხებენ, ისე ილვწიან, რომ რაოდენობა აუცილებლად გადაიზარდოს ხარისხში. თანაც, აღმატებულად: 2017-2018 სასწავლო წელს 14 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ. წლეულს, სავარაუდოდ, და ეს ვარაუდი რეალურ საფუძველზეა დაფუძნებული, 29 – ცოდნის მაღალი დონეა.

ზემოთქმული ყველა პედაგოგის, საგნობრივი კათედრების გამიზნული, ურთიერთშეთანხმებული, შემოქმედებითი შრომის ლოგიკური შედეგია. უნარიანად უძღვებიან კათედრებს, კოლეგებთან მიზანმიმართულად მუშაობენ ქალბატონები: **ეთერ ნემსაძე** (ქართული ენა და ლიტერატურა); **მაია მეძველია** (მათემატიკა); **როსტომ კაჭახიძე** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება); **ნონა ჭარელიშვილი** (დაწყებითი კლასები); **ქეთევან მხეიძე** (უცხო ენა); **ნატო მალაციძე** (საზოგადოებრივი მეცნიერებები) და **სოფო ვასაძე** (საბუნებისმეტყველო).

2700-მდე მოსწავლე... ერთ ცვლაში სწავლობს! დირექტორის თქმით, ვიდრე აქაა, არ დაუშვებს „გაორცვლიანებას“. რატომ? იმიტომ, რომ ყმაწვილებს თვითგანვითარების, თვითრეალიზების, გარე აქტიურობის დრო უნდა ჰქონდეთ. საამისოდ სკოლაშიც მოქმედებს სხვადასხვა წრე, სექცია; აქვთ 8 ღია სპორტული მოედანი, პატარებისთვის – სათანადოდ აღჭურვილი მომცრო სპორტული დარბაზი, მაგრამ... ეს ოხერი „მაგრამ“ რომ გამოეჩხირება ხოლმე! რამდენიმე წლის წინათ დაუნგრიეს დიდი სპორტული დარბაზი. ვითომც, ახალი უნდა აეშენებინათ, მაგრამ ახლის აშენებას ვიღა ჩივის, ერთ-ერთი ღია მოედნის გადახურვასაც არ დააყენეს სშველი. როდემდე იქნება ასე? თავისი სახსრებით სკოლა ვერც ვერას გადახურავს და, მით უფრო, ვერც დარბაზს ააშენებს. პირდაპირ მოთხოვნას რომ მიახტებიან ხოლმე, ჯერ სათანადო პირობები შეუქმენი და მერე მოსთხოვე.

მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადოდ წარმართვის მტკიცე საწინდარია. სხვაგვარად, პედკოლექტივის შრომის მარგი ქმედების კოეფიციენტი გარჯის ტოლფასი ვერ იქნება. ჰოდა, ვიმეორებ, ჯერ პირობები შეუქმენით, დაინახეთ და დააფასეთ ისინი, ვისაც ცხოვრების მიზნად სამშობლოსათვის ღირსეული თაობების აღზრდა დაუსახავს და მერე მოსთხოვეთ. ოღონდ, ეს აუცილებლად გაითვალისწინეთ, ბატონებო: მომავალი თაობებიო რომ გაიძახით ზოგიერთნი, სადღაც ჰორიზონტს მიღმა კი არ იზრდებიან. აგერ, ჩვენს თვალწინ ყალიბდებიან. ახლავე უნდა მიხედვა, რადგან ერთხელ მრუდედ წასული ნერგის გასწორება ძალზედ ძნელია, ხშირად კი – შეუძლებელიც; რასაც დაწყებით კლასებში დააკლებ, მომდევნოებში ვეღარ აუნაზღაურებ – ასაკიც სხვაა და მოთხოვნებიც. სწავლა-აღზრდაში კი წვრილმანი არაფერია. ე. წ. წვრილმანები, ჩვენდა

გაგრძელება მე-4 გვ.

თბილისის 67-ე საჯარო სკოლა სწორ გზაზე დგას

მაღალ შედეგებზე არიან ორიენტირებულნი

სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება, მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასა და მოტივაციის ზრდაზე ზრუნვა, უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართულობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა – ის აქტივობებია, რომლებზეც სკოლაში მოსვლის პირველივე წუთიდან ზრუნავს თბილისის 67-ე საჯარო სკოლის დირექტორი **ნანა ჟორჟოლიანი**. იგი პროფესიით დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის სპეციალისტია, განათლების სისტემაში 1987 წლიდან მუშაობს, სხვადასხვა დროს იყო პედაგოგი, დირექტორის მოადგილე, არჩეული დირექტორი. 2018 სასწავლო წლიდან კი ამ სკოლას ჩაუდგა სათავეში. მძიმე მემკვიდრეობა ერგო, მაგრამ ამჟამად პრობლემა აღმოფხვრილია. სწრაფი რეაგირება ხდება მშობლის ყველა წინადადებასა და სურვილზე. დირექტორი უსმენს ორივე მხარეს და მიუკერძოებელ, ადექვატურ გადაწყვეტილებებს იღებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მსოფლიო ბანკის პროექტში არიან ჩასმული, და 2 წლის განმავლობაში მთლიანად მოგვარდება ინფრასტრუქტურის პრობლემაც. კოლექტივთან მეგობრული, ურთიერთგაგებული, პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა დამყარდა. წარსულში სკოლა საუკეთესო ათეულში შედიოდა და ცდილობენ წარმატებულის სახელის დაბრუნებას. დირექტორთან ერთად სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში აქტიურად მონაწილეობს დირექტორის მოადგილე **იზა ზარანდია**.

სკოლაში ეფექტურად ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, სადაც მუშავდება ახალი რეკომენდაციები და აქტივობები, იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები, ხდება საგნების სწავლების კოორდინაცია. პედაგოგთა 60% სერთიფიცირებულია. 1-4 კლასის ინტეგრირებულ საგანთა კათედრაზე (ხელმძღვანელი **ლია სამხარაძე**) პედაგოგმა **ზეინაბ არაბულმა** ჩაატარა გასვლითი გაკვეთილი დედაენის ძეგლთან **„ჩვენ ვიწყებთ ანბანის სწავლას“**; პედაგოგმა **ლელა ლომიძემ** მოაწყო შეხვედრა მწერალ **ლელა ცუცქირიძესთან** და დეკანოზ **თავმაზ ჩოხელთან** საიუბილეო საღამოზე სამების შემეცნებით ცენტრში; საუკეთესო შედეგებს აღწევენ დაწყებითი კლასების პედაგოგები: **ლია სადრაძე, ეკა ფეიქრიშვილი, მარიამ ლებანიძე, მარიამ აფხაიძე, რუსუდან ზამთარაძე.**

საკმაოდ წარმატებულია ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა (ხელმძღვანელი **ნანა მამუკელაშვილი**), სადაც მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარებულ ღონისძიებათა რიცხვი საკმაოდ დიდია: ღონისძიება **„გალაკტიონის შემოდგომა“**; გასვლითი გაკვეთილი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში **„წიგნის წარსული, აწმყო და მომავალი“**; ასევე გასვლითი გაკვეთილი მწერალთა სახლში **„მართალი სამართალი“** – ილია ჭავჭავაძის **„სარჩობელაზედ“** – პედაგოგი **მაია ცუცქირიძე**; წიგნის საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ პედაგოგები: **ნანა მამუკელაშვილი, ხათუთი ხვედელიძე, ლელა თავართქილაძე, მარიამ თავართქილაძე, მერი ცარციძე, მაია ცუცქირიძე**;

უცხო ენების კათედრამ (**ვერა აბჟანდაძე**) მოაწყო ვიქტორინა სახალისო კითხვა-პასუხები – პედაგოგი **ლარისა საქუაშვილი**; ამავე კათედრაზე მოღვაწეობენ პედაგოგები: **ნუნუ ჩხაიძე, ცირა კვარაცხელია, ქეთევან ანანეიშვილი** (ინგლისური ენა), **მანანა ბარნაბიშვილი** (რუსული ენა);

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა (**გულნაზ ლორია**). პედაგოგმა **ირმა ქენქაძემ** ასი ათასი მოწამის დღესთან დაკავშირებით ჩაატარა გასვლითი გაკვეთილი გორგასლის ძეგლთან; მოეწყო გამოფენა დავითობა – **„ძველი აღმოსავლეთი“** – პედაგოგები: **ირმა ქენქაძე, იზოლდა ღვინჯილია**; სკოლაში შექმნილია სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელიც აქტიურად ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას, როგორიცაა – **„ტოლერანტობა,“ „დავიცვათ ადამიანის უფლებები“** და სხვა – პედაგოგი **მარიამ თავართქილაძე**;

გამორჩეულია სპორტისა და ესთეტიკის კათედრა (**რუსუდან ხორბალაძე**), რომელიც აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საქალაქო სპორტულ ღონისძიებაში. ოლიმპიური კომიტეტის მიერ ჩატარებულ ოლიმპიადაში მინი-ფეხბურთში (პედაგოგი **ზურაბ ბოკუჩავა**) პირველი ტური წარმატებით (9:0) გაიარეს. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება შიდა სასკოლო ოლიმპიადა **„ბოლქვაძის თასი“** (პედაგოგები: **ზურაბ ბოკუჩავა, მანანა მალასიძე**);

ყოველდღიური შემოქმედებითი შრომის შედეგი სახეზეა. სკოლაში ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში – ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია **„გვიანი შემოდგომა თბილისში“**, საშობაო კვირეული, დედის დღისადმი მიძღვნილი თუ სხვა, აქტიურად მონაწილეობს მუსიკის მასწავლებლის **რუსუდან გვეტაძის** მიერ ჩამოყალიბებული ანსამბლი **„იები“**. პერიოდულად ტარდება ნორჩ მხატვართა გამოფენა, საკულტო ნაგებობების შესწავლა-დათვალიერება „ძველი თბილისის უბნებში“ – პედაგოგი **რუსუდან ხორბალაძე.** მასწავლებელმა **ცირა ნაყეურმა** ხელოვნების გაკვეთილი ჩაატარა საკრავების მუზეუმში; არჩევითი საგნის – მეწარმეობის საფუძვლების ფარგლებში სტუმრობდენენ გლდანის საზოგადოებრივ კოლეჯსა და პროფესიული მომზადების ცენტრს – **„როგორ გავხდე ბიზნესმენი“, „დავეუფლოთ პროფესიას“** და სხვა. სამომავლოდ, არაფორმალური განათლების კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, პედაგოგებს დაგეგმილი აქვთ ჩაატარონ გაკვეთილები მშობელთა ჩართულობით.

მოსწავლეებს საუკეთესო განათლებას აძლევენ, ლიტერატურისა და ისტორიის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი თუ ზუსტი მეცნიერებების სამყაროში ამოგზაურებენ პედაგოგები: **ირინე გოჩიტაშვილი, ნანი ჩხაიძე, ლელა კუპრაშვილი, ციცინო გორელაშვილი** – მათემატიკა; **ნინო რუხაძე** (გეოგრაფია); **თეა ივანელაშვილი** (ბიოლოგია); **თამარ ღვედაშვილი** (ქიმია); **ქეთევან ედილაშვილი** (ფიზიკა); **თენგიზ ლომაძე** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება).

ნანა ჟორჟოლიანი: „ჩვენ ვართ ზრუნვაზე ორიენტირებული სკოლა. გვინდა, შევქმნათ სასწავლო, თავისუფალი და უსაფრთხო გარემო, არაფორმალური განათლებით, მშობელთა დიდი ჩართულობით, როცა ჩვენი სკოლიდან გასული ყველა ბავშვი იქნება ბედნიერი, გაყვება სითბო, სიყვარული, რეპეტიტორის გარეშე ჩააბარებს უმაღლეს სასწავლებელში და ექნება ბედნიერი ბავშვობა.“ ეს ჭეშმარიტი ზრუნვაა. წარმატებებს გისურვებთ 67-ე სკოლელელბო!

ნათია გურგენიძე

161-ე სკოლის პედკოლექტივის მრწამსი, ანი და ჰაე

მესამე გვერდიდან

სავალალოდ, ხშირად ძალზე მსხვილმან უსიამოვნებებად და უბედურებებადაც შემოგვიბრუნებია. აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, ვინც დააგვიანა, უკვე წააგო. სახელდობრ, ვინ რჩება წაგებული? კვლავ და კვლავ საქართველო! ნუთუ, ეს ასე ძნელად გასასიგრძეგანებელია?!.

161-ე სკოლაში 9 დაწყებითი კლასია. ეს სწორედ ის ასაკია,

საიდანაც, ეგზიუპერის თქმით, ყველანი მოვდივართ – ბავშვობიდან. დაწყებითი კლასებიდან ყალიბდება და ვითარდება ყმაწვილების ე. წ. ფსიქოტიპი, რაც პიროვნებად, ინდივიდად ჩამოყალიბების საფუძველია. პედაგოგების ძალისხმევაც იქითაა მიმართული, რომ თავიდანვე სწორ კალაპოტში წარიმართოს პატარების აღზრდა-განვითარება და მომდევნო კლასების კოლეგებს მაქსიმალურად სწორედ განვითარებული ყმაწვილები გასაცენ. და სწორედ ასე რომ იწყება და გრძელდება სკოლის დამთავრებამდე, ამის უტყუარი დასტური მოსწავლეთა რაოდენობაა – 2700-მდე! დავფიქრდეთ, რატომაა ასეთი მიჯარება? იმიტომ, რომ მშობლებს იქ, იმათთან მიჰყავთ შვილები, ვისაც ენდობიან. ასე მარტივად კი ითქმის, მაგრამ ამ ნდობის მოპოვებას რამდენი ძალისხმევა სჭირდება, კარგად იცის 161-ე სკოლის კოლექტივმა და უმთავრესი ისაა, რომ ეს მათი შინაგანი მრწამსი, ანი და ჰაეა.

კონსტანტინე გურგენიძე

P.S. ვერ გეტყვით, ბატონი მიხეილის გვარი – მინდაძე – სიტყვა „მინდა“-დან მოდის თუ არა, მაგრამ ხომ ცხადზე უცხადესია, რა უნდა ერისა და ქვეყნისათვის ამ დიდ პედაგოგს. მაინც დასკვნად გამოვკვეთოთ: ბატონ მინდაძეს გაერთიანებული, ძლიერი, გაბრწყინებული საქართველო უნდა, სადაც მისი და მისი მრავალი კოლეგის ღირსეულად აღზრდილი თაობები ლაღად, ღირსეულად და ღირსებით იცხოვრებენ და იმუშაკებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ და, თუ ქვეყანას დასჭირდა, უყოყმანოდ ჩადგებიან მისი დამცველების რიგებში, როგორც ბატონი მიხეილი ჩადგა „თბილისელთა“ რიგებში.

„გორა-ბაღში“ ზეიმისთვის მზად არიან

ყველაფერი საუკეთესო - ცეროდენებს

გაზაფხული ახლოვდება და დედის დღე სულ ახლოსაა. საბავშვო ბაღებში ზეიმებისთვის ემზადებიან. საზეიმო ფუსფუსი შეიმჩნევა თბილისის 66-ე ბაგა-ბაღში. იგი ავლაბარში, გუთნის ჩიხის ერთ-ერთ შემაღლებულ ფერდობზე მდებარეობს. ადგილმდებარეობის გამო, საბავშვო ბაღს **„გორა-ბაღი“** შეარქვეს. ბაგა-ბაღი დედაქალაქში 1938 წლიდან ფუნქციონირებს, შენობა რეკონსტრუქციას საჭიროებს და ბაღის მესვეურები სარემონტო სამუშაოების დაწყებას ელოდებიან. პრობლემის მიუხედავად, ბაღის შიდა ინტერიერი მოწესრიგებული და გალამაზებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებით. ეზოს მწვანე ნარგავები, საქანელები და პატარა აუზი ამშვენებს. აქ პატარები ზაფხულის პაპანაქება სიცხეში ჭყუმპალაობენ და გრილდებიან. საბავშვო ბაღი ზაფხულობითაც ფუნქციონირებს.

დირექტორმა **ეკა აღნიაშვილმა** საგულდაგულოდ დამათვალიერებინა საბავშვო ბაღი, ისაუბრა მის ისტორიაზე, ტრადიციებზე და დღევანდელ სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაზე ასევე, კმაყოფილება გამოთქვა ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მისამართით და გამოჩენილი ყურადღებისთვის მას დიდი მადლობა გადაუხადა. ქალბატონი ეკა 66-ე ბაგა-ბაღს უკვე თორმეტი წელიწადია ხელმძღვანელობს, თუმცა მანამდე აქ ცეკვის პედაგოგად მუშაობდა. იგი, „გორა-ბაღის“ აღზრდილია. ეს ნიშნავს: მისთვის აქაური გარემო მშობლიური და ძვირფასია.

ეკა აღნიაშვილი: „გორა-ბაღი“ საკუთარი ოჯახივით მიყვარს და აქაური კედლებიც კი ძვირფასია ჩემთვის, სადაც ბავშვობის დაუვიწყარი ხანა გავატარე. ჩემი შვილებიც აქ აღიზარდნენ და შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ამ ბაღთან არის დაკავშირებული. ჩემი დირექტორობის პერიოდში არაერთი სიახლე განვახორციელე, თუმცა არსებული ტრადიციებიც შევინარჩუნე. მყავს ძალიან კარგი პროფესიონალებით დაკომპლექტებული კოლექტივი და დაცულია ასაკობრივი თანაფარდობა. სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ მეთოდისტს, ფიქოლოგს და ლოგოპედს. რაც შეეხება ბიუჯეტს, იგი ყოველი წლის დასაწყისში დგინდება და ხელშეკრულებები ფორმდება ბაზრის კვლევის საფუძველზე... პატარებისთვის კვება განსაკუთრებულია და მაღალ დონეზეა, რაც სააგენტოს კარგი მუშაობის შედეგია. სწორედ, ბატონი კახას ხელშეწყობით ბაგა-ბაღში პატარებისთვის ყველაფერი სასიკეთო კეთდება. ჩვენთან ყოველ გაზაფხულზე დაწესებულია ერთი განსაკუთრებული დღე, სახელწოდებით - **„გავამწვანოთ ჩვენი ბაღი“** და პატარებთან ერთად მცენარეებს ვრგავთ, ბავშვები აქ ძალიან აქტიურობენ და ხალისობენ.

ბაღში სულ 426 აღსაზრდელია, სამი დამამთავრებელი ჯგუფია. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა და ცეროდენები ასაკის შესაბამისად, კარგად არიან მომზადებულები. ბაღში ირიცხება 5 განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელი, რომელთანაც მუშაობს სერთიფიცირებული სპეციალური პედაგოგი **ნაირა ღვალაძე.**

ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დირექტორის მოადგილეს **ეთერ აბაშიძეს**, ასევე, მნე-ს **ნინო პეტრიაშვილს**, ლოგოპედს **ეთერ გაბრიჭიძეს,** საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს **ნანი გელაშვილს,** ფსიქოლოგ **ემა გეგელაშვილს**, საქმისმწარმოებელ **მარინა ქოქოსაძეს** და ბუღალტერ **ზაურბეგ ჩიტიშვილს**. პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნავს მედდა და ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ქეთევან დალაქიშვილი.**

ცუგრუმელებს ბაღში მისვლა რომ უხარიათ, ეს სწორედ, აღმზრდელების დამსახურებაა, რომლებიც პატარებს მზრუნველობას არ აკლებენ. ესენია: **თეა ცხადაძე, ირმა ხუციშვილი, ნინო მწარიაშვილი, მარინა დორეული, თამარ ნოშრევანიშვილი, ლია ალადაშვილი, შორენა ალექსაია, ევა პანიევა, ცირა მათიაშვილი, ანა გასპარიანი, ირინე გოდერძიშვილი, ეკატერინე ტორაძე** და **თამარ ჯიმუხაძე**. მათ მხარში უდგანან თანაშემწეები: **თამარ გოგოძე, ფიქრია კაპანაძე, ეკატერინე მახარაშვილი, ასია ბაიანდუროვი, მარინე ბეჟიაშვილი, ხათუნა ალავერდაშვილი, თამარ ლომიძე, მაკა სოფრომაძე, იამზე კვინიკაძე, ნატალია შაქარაშვილი, დარეჯან ჯანგირაშვილი, ეკატერინე თუშიშვილი** და **სოფიკო კოვზირიძე.**

„გორა ბაღში“ ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები და სეზონური ზეიმები. შემოქმედებით აქტივობებში ბავშვებს ეხმარებიან მუსიკის პედაგოგები: **ნადია გიორგაძე** და **მარგალიტა ბარხუდარიანი.** საზეიმო სამზადისში აქტიურად არის ჩართული ცეკვის პედაგოგი **ნინო პაპავა**.

ასე რომ, ყოველ აღსანიშნავ დღეს მაღალ დონეზე აღნიშნავენ.

დირექტორი კმაყოფილია ტექნიკური პერონალის თავდადებული შრომით, რომლებიც მადლობას იმსახურებენ. ესენია: **გულნარა გოგობერიშვილი, ლეილა ჯანიაშვილი, თამარ აბაშიძე, თამარ ჩაჩანიძე, მანანა კამალოვი, ლილი ჯამალაშვილი, მალინა რამიშვილი, თამარ ჯამალაშვილი, ლალი ურგებაძე, ელზა მარანელი, მარინე აბიათარი, ელმირა ბაიანდუროვი, ნანული მამაცაშვილი, ილია ჩიტიშვილი, ნიკოლოზ გოგობერიშვილი, ალბერტ კანანოვი, რაფაელ მაზმანოვი, გიორგი გრიშაშვილი** და **ვახტანგ მაზმანოვი**.

აი, სწორედ ეს კოლექტივია ერთ მუშტად შეკრული, სადაც მუდამ მეგობრული გარემოა და თავს არ ზოგავენ იმისთვის, რომ აღსაზრდელებმა თავი კომფორტულად და ბედნიერად იგრძნონ. ყველას – დიდსა და პატარას გამარჯვებას ვუსურვებთ.

მზია გოგოძე

ეძიებენ და ჰპოვებენ კიდეც

ასეთი რამ იცის განგებამ: სადაც უნდა იყო, მოგკიდებს ხელს შენი ანგელოზი და იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც ხარ მოწოდებული. ზოგი იშნოვებს ამ მადლს, ზოგიც – ვერა. პირველნი თავდადებულად მუშაკობენ თავის ასპარეზზე; მეორენი კი, ხშირად, ღობე-ყორეს ედებიან – ვერა და ვერ მიუგნიათ თავის ადგილისათვის ცხოვრებაში.

143-ე ბაგა-ბაღის დირექტორმა, ქალბატონმა **ირმა მაყიშვილმა** 1999 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა 114-ე სკოლაში დირექტორის მოადგილედ და ეკონომიკას ასწავლიდა; შემდეგ – სოციალური მომსახურების სააგენტოში სოციალურ მუშაკად. ვინ მოთვლის, რამდენ გაჭირვებულ ოჯახში ყოფილა, რა სიდუხჭირე აღარ უნახავს. ამ სფეროში მოყვასის სიყვარულის, სხვისი გაჭირვების, ტკივილის გათავისების გარეშე ვერ იმუშავებ. საამისოდ კი სიყვარულის ნიჭით უნდა იყო ცხებული. 2007 წელს 143-ე ბაგა-ბაღის დირექტორად დაინიშნა.

ნამდვილად „თავის ადგილზე“ დაადგინა განგებამ ქალბატონი ირმა? ამის ერთგვარი დასტური – სამი დღე ვურეკავდი შესახვედრად და მეოთხე დღესღა მოიცალა. ასეთი მიდგომა მინდობილის მიმართ – მას კი ბავშვები, ჩვენი ქვეყნის მომავალი აბარია – უკვე საქმე აღარ არის – მრწამსია – ბავშვები, უპირველეს ყოვლისა!

ახლა პირდაპირი და უტყუარი დასტური – 210 ბავშვზე გათვლილ ბაღში 423 აღსაზრდელი ჰყავთ. ეს, ცხადია, ცალკერძ, დამატებით პრობლემებს უქმნის პედკოლექტივს, ცალკერძ კი ბაგა-ბაღის პოპულარობის უტყუარი დასტურია. ვისთან მიიყვანს მშობელი შვილს? ვისაც ენდობა. მერწმუნეთ, ეს ადვილი სულაც არ არის – მშობელმა პირმშო განდოს. აგერ, როგორ ანდობენ და მშობლების რამდენი მადლობაა.

143-ე ბაგა-ბაღში უწყიან, რომ ბავშვობაა ის ძირთადი, საიდანაც იღებს საწყისს ყოველი ჩვენგანის პიროვნება და პიროვნულობა, გონებრივი, ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება; რომ სწორედ ბაგა-ბაღებში ყალიბდება ის ფსიქოტიპი, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე მოგვყვება. დიდი ცოდნა, ტაქტი და სიფრთხილეა საჭირო, რომ პატარები სწორ კალაპოტში ჩააყენო, სწორად წარმართო მათი სულიერ-ფიზიკურ-მორალური აღზრდა, რადგან ამ ასაკში მოკლებულს, მერე და მერე ძნელად შეავსებ. ასე რომ იმუშაო, ასე რომ აზიარო პატარები სიკეთესა და გულისხმიერებას, ფიზიკურად ჯანსაღნი აღზარდო ჯერ ბავშვების ნდობა უნდა მოიპოვაო, მაგრამ არა ხელოვნურად, თვითმიზნურად, არამედ – მრწამსითა და შეგნებით. ყმაწვილები ხომ ბავშვური უშუალობით უმალ ატყობენ, სად სიმართლეა და სად – სიყალბე. აღმზრდელები ცდილობენ, თავადაც „გაბავშვდნენ“, მათი თვალით შეხედონ სამყაროს, მათი სიხარულითა და ტკივილით იცხოვრონ. აღმზრდელებიც იყვნენ და – მეგობრებიც.

სწორედ ასე მუშაობენ აღმზრდელები: **ხათუნა ბაზიკიანი, ეკატერინე მუხიგული, შორენა ფანჯარაშვილი, თეა შაპოვალოვი, თეონა ბახტურიძე, ოლღა ტურაშვილი, ეკა ლაგურაშვილი, ეკტერინა წიქარიშვილი, ეკატერინე მეცხოვრიშვილი, ქეთევან ფოცხვერაშვილი;** მათი თანაშემწეები: **დარეჯან თოდაძე, თეა რუხაძე, სუსანა ქარაია, მარინა ჯადუგიშვილი, ნინო ჭოლარია, ნინო დოლიძე, ნადეჟდა ჯლანტიაშვილი, ნათია ყანდორელაშვილი, ნინო გენებაშვილი, თამარ თუმანიშვილი, ნინო ამირეზაშვილი, ლელა გულორდავა, ლეილა ბერაია, ნონა საღირაშვილი-ებრალიძე, მთვარისა ქრისტესიაშვილი, თამარ გაბიძაშვილი, შორენა ბენდელიანი, მზია სამაშვილი;** სპეციალური პედაგოგი **მაკა მანჯგალაძე;** ცეკვის მასწავლებელი **თამარ ლავრელაშვილი;** ბავშვების ჯანმრთელობასა და ჰიგიენურ გარემოზე უშუალოდ ზრუნავს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური გარემოს შექმნის კოორდინატორი **ლელა ახალაია.**

ბაგა-ბაღი რთული ორგანიზმია. ყოველი წარმატება მისი სხვადასხვა რგოლის ხარისხიანი, ურთიერთშეთანხმებული და მიზანმიმართული შრომის ლოგიკური შედეგია. ამიტომ უთუოდ გამოსარჩევი და დასაფასებელია საქმისმწარმოებლის დამხმარის **ხატია გორდეზიანის,** მზარეულის დამხმარის **ნათელა ჯობეიშვილის,** მრეცხავ-მებაღე **მანანა მეშველიანის,** მრეცხავების: **მაკა ჭოლაძისა** და **ნინო ფილიშვილის;** დამლაგებლების: **ლალი წოწკოლაურის, მანანა ჭიაბერაშვილის, ალა ღამბაშიძის;** მუშის – **ზურაბ სეფიაშვილის** შრომა.

უნარიანად, შემოქმედებითად მუშაობენ კოლექტივთან დირექტორის მოადგილე **ნონა საღირაშვილი** და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ქეთევან სუსუნიაშვილი.**

და კიდევ, ძალზე მნიშვნელოვანი: კოლექტივი ახალგაზრდულია. მისმა ყოველმა წევრმა უწყის, რაოდენი მნიშვნელობის მისია აბარიათ და რომ მისი შესრულება მხოლოდ ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობითაა შესაძლებელი. ამიტომ პატივს მიაგებენ, აფასებენ ერთურთის გარჯას, მყისვე მზად არიან დახმარების ხელი გაუწოდონ. ასეთი ჯანსაღი ურთიერთობები, ჯანსაღი სამუშაო გარემო კი კვლავ და კვლავ აღსაზრდელების სასიკეთოა, რადგან, გავმეორდები, 143-ე ბაღელთა დევიზია – ბავშვი, უპირველეს ყოვლისა!

ყოველი ბაგა-ბაღი მუშაობაში მათთვის დაწესებული ბაგა-ბაღების სააღმზრდელო პროგრამით ხელმძღვანელობს. სწორედ აქ არის „ჩამარხული ძაღლის თავი“ – ზუსტად, მაგრამ ტრაფარეტულად მიჰყვები ამ პროგრამას, თუ შემოქმედებითად უდგები, შენეული შეგაქვს მასში, ამრავალფეროვნებ. 143-ე ბაგა-ბაღის შემოქმედი კოლექტივი ეძიებს და ჰპოვებს კიდეც საამისო გზებსა და საშუალებებს.

ორიოდე მაგალითი: დირექტორის მართებული თქმით, ბავშვისთვის მაინც ერთგვარი სტრესია, როცა იგი მთელი დღით წყდება ოჯახს, მშობლებს. ამიტომ ასე მოიფიქრეს: სათანადო აქტივობაში ხომ გააცნეს, შეაყვარეს პატარებს სხვადასხვა ზღაპრის გმირები, ჰოდა დილაობით ბაღში მისულებს სწორედ ამ გმირთა შესატყვისად შემოსილი აღმზრდელები ხვდებიან. მშობლებთან თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, ყმაწვილების სასიკეთოდ, ბაღი მშობლებს აძლევს კონკრეტულ დავალებებს, რაც ბაღის მუშაკთა შრომას ავსებს და უკეთ მოიცავს პატარების სწორად აღზრდის პროცესს. ყოველი აქტივობისას აღმზრდელები მზა-მზარეულად კი არ სთავაზობენ ბავშვებს ამა თუ იმ თემას, არამედ ურჩევენ, გზას უჩვენებენ, რათა ყმაწვილებმა მაქსიმალური დამოუკიდებლობით იაზროვნონ და მივიდნენ მიზნამდე.

ბაგა-ბღის წარმატებაში, მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურასა და ყუათიან, სასარგებლო კვებაში დიდია ბაგა-ბაღების სააგენტოსა და უშუალოდ მისი ხელმძღვანელის ბატონ **კახაბერ გვანცელაძის** წვლილი. ამას ერთხმად აღიარებს მთელი კოლექტივი. ქალბატონ ირმას თქმით, ბატონი კახაბერს შემოვლილი აქვს ყველა ბაგა-ბაღი, იცის თითოეულის პრობლემები და ძალზე ოპერატიულად, ხარისხიანად ჭრის მათ. უაღრესად ყურადღებიანი და ხელმისაწვდომია.

ცხადია, ერთ წერილში ძნელია ბაგა-ბაღის მუშაობის სრულად გადმოცემა, მაგრამ, რაც ითქვა, ვგონებ, საკმარისია იმის დასტურად, რომ 143-ე ბაგა-ბაღის ახალგაზრდული, მეგობრული კოლექტივი, შემოქმედი დირექციის ხელმძღვანელობით, მთელ ძალისხმევას ბავშვების კეთილდღეობას ახმარს, მუდმივად ახლის ძიებაშია, რათა კიდევ უფრო სრულყოს პატარებთან მუშაობის ხერხები და მეთოდები.

კოტე სარალიძე

სწავლების მეთოდიკა

პოემა „ბედი ქართლისას“ სწავლებისთვის

ნიკოლოზ ბარათაშვილის ისტორიული პოემა საჯარო სკოლებში საბაზო საფეხურზე, კერძოდ, მეცხრე კლასში ისწავლება. კონკრეტულად პოემის შინაარსის გაცნობამდე საჭიროა, რომ მიმოვიხილოთ ნაწარმოებში წარმოდგენილი ისტორიული ეპოქა კრწანისის ბრძოლის ჩათვლით; შემდგომ შევეხოთ პოემაში ნახსენები ისტორიული პერსონაჟებისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებას.

პოემა **„ბედი ქართლისა“** ბარათაშვილმა 22 წლის ასაკში დაწერა. რომანტიკოსი პოეტი სულაც არ მიმართავს საქართველოს ისტორიული წარსულის გადაჭარბებულ იდეალიზაციას, პირიქით, ნაწარმოები საწინააღმდეგო ნიშნებით ხასიათდება.

ავტორი პოემას კახელებისადმი მიმართვით იწყებს და ამაყია, რომ „სულით მოლხინენი“ ჭირსაც და ლხინსაც შეუდრეკლად, მხიარულად ხვდებიან; შეუძლებელია, ამ დროს არ გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმი **„ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად“.** სწორედ ამიტომ სთხოვს შესავალში ნიკოლოზ ბარათაშვილი კახელებს, წინაპრების გახსენებისას მისი ხსენებაც არ დაავიწყდეთ.

საინტერესოდ ენაცვლება ამ **„სადღეგრძელოს“** (კახთა მიმართ) მეფე ერეკლეს ლოცვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი არ აჭარბებს, როდესაც ერეკლეს საბრძოლო სტრატეგიულ ნიჭზე ამახვილებს ყურადღებას. (რაც მთელ აღმოსავლეთსა და დასავლეთში იყო ცნობილი). ერეკლე მეორემ 40 წელი გაატარა ბრძოლის ველზე და არც ერთი არ წაუგია, გარდა უკანასკნელი კრწანისის ბრძოლისა. ეს იყო ტრაგედია, როგორც მხცოვანი მეფის, ისე ქვეყნის ცხოვრებაში.

სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ პოემის შესწავლისას ყურადღება გავამახვილოთ სამ განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე:

პირველი - ბარათაშვილი სავსებით იზიარებს მეფის ორიენტაციას:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“...

ამ თვალსაზრისის განსამტკიცებლად იშველიებენ ტატოს ლექსს **„საფლავი მეფისა ირაკლისა“.**

მეორე თვალსაზრისის მომხრენი პოეტის ეროვნული მრწამსის წარმომადგენლად **სოლომონ ლეონიძის** სახეს მიიჩნევენ. მოხუცი მსაჯულისთვის ნაციონალური დამოუკიდებლობის ინტერესი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას:

„განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვის ჭერთ ქვეშ თავისუფლება!“

ამ თვალსაზრისის გასამყარებლად იშველიებენ ალეგორიული ხასიათის ლექსს **„სუმბული და მწირი“.**

მესამე თვალსაზრისის მომხრენი პოემაში გამოკვეთენ ავტორის გაორებულ შეხედულებას.

პოემის სიუჟეტს საფუძვლად უდევს ისტორიული მოვლენა - აღა-მაჰმადხანისაგან 1795 წელს თბილისის აღება, რამაც ფაქტობრივად ქართლ-კახეთის სამეფოს მომავალი ბედი განაპირობა. ლიტერატურათმცოდნეები ვარაუდობენ, რომ პოეტმა პოემა დაწერა 1832 წლის შეთქმულების შთაბეჭდილებით აღტკინებულმა.

რაც შეეხება პოემის პირველ კარს, მასში კრწანისის ბრძოლაზე ამახვილებს პოეტი ყურადღებას. ბრძოლაზე, რომელშიც **„ვითა ნადირსა მშიერი ლომი, ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი და მტკვარსა შეჰრთეს სისხლისა ღვარნი!“**

ყველგან და ყოველთვის მოღალატე ხომ იუდაა კაცისა და უფლის თვალში. არც აქ იყო გამონაკლისი: **„აჰა, მან იგი აქ მოიხელთა და მუხთალისა ანგართა ხელთა აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!“**

გადარჩენილი მეფე ერეკლე მსაჯულთან ერთად მთიულეთს შეაფარებს თავს და ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს კეთილდღეობა ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირით განისაზღვრება.

პოემაში მეფე ერეკლეს გადაწყვეტილება, საქართველოს ბედი რუსეთს დაუკავშიროს, შორეულ წარსულს, 1783 წელს დადებულ გიორგიევსკის ტრაქტატს უკავშირდება. პოემაში ანაქრონიზმია. (ქრონოლოგიური შეუსაბამობა). გიორგიევსკის ტრაქტატი გადმოტანილია კრწანისის ომის შემდეგ.

ერეკლე უფრო შორსმჭვრეტელია, ვიდრე მისი ბრძენი მრჩეველი; მისი მსჯელობა მშვიდია, თავდაჯერებული. ის პირველი წყვეტს კამათს, მაგრამ აფრთხილებს მსაჯულს:

„აი, მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმასა,
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვასა,
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“

შეუძლებელია არ ვიფიქროთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ამართლებს მეფის გონივრულ გადაწყვეტილებას, თუმცა კამათის დროს ერეკლე თითქოს თანაუგრძნობს თავის მსაჯულს, ბრძენ კაცს, რომელსაც არანაირად არ სწამს მეფის აზრის ჭეშმარიტება, ვერ წარმოუდგენია, **„ჯერ სამაგისო რა გვემართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლება...“**

წარმოუდგენელია გვერდი ავუაროთ პოემის შესწავლისას ბუნების ცხოველი სურათის მეფისადმი ზემოქმედებას:

„ამ დროს აღმოხდა ბადრი მთოვარე
და სიამითა მოჰფინა არე,
ცამ მოჭედილმა ვარსკვლავებითა,
მთისა ჰაერმან, სავსემ შვებითა
და მთვარის შუქზე არაგვის წყალთა,
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,
გულს აუშალეს დარდები ბატონს...“

ან ის ეპიზოდი, როდესაც მოწყენილ, მობერებულ მეფეს ხალისიანი და მარად ახალგაზრდა არაგვი უპირისპირდება:

„მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს“...

თუ მეფეს სწამს, რომ რუსეთის საფარქვეშ მყოფი საქართველო ამოიყრის სპარსეთის ჯავრს და ქრისტიანობას უმტკივნეულოდ შეინარჩუნებს, სოლომონის რწმენით ქართველებს **„არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვის ჭერ ქვეშ თავისუფლება!“**

საინტერესოდ დაგვიხატა ავტორმა სოფიოს სახე, „სულისა ტოლი“ მანდილოსანი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მეფეს და მის ამბავს კითხულობს, შესაძლებელია აქაც გავავლოთ პარალელი „ვეფხისტყაოსანთან“ - **„ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“...**

„სათნო სოფიოს“ (როგორც მას ავტორი უწოდებს) ვერ წარმოუდგენია, **„უცხოობაში რაა სიამე?“** მიაჩნია, რომ გალიაში დატყვევებული ბულბულის მსგავსად

„ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში მას გაჭირვება
სხვადასხვა რიგად ენუგეშება“...

თავისუფლება ბარათაშვილის პოემაში ქალის ხმით მეტყველებს. იმ ქალის, რომელიც **„ოდეს მამულსა უზრდიდა გმირსა“...** სწორედ ამიტომ მიმართავს აღფრთოვანებული პოეტი დედებს: **„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!“**

და სინანულით დასძენს: **„რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?“**

პოეტი უკმაყოფილოა თანამედროვე ქართველებით, გრძნობს, რომ ჩამკვდარია ქართული სული. რუსეთთან ურთიერთობამ გადააგვარა ერი; ქართველობას უცხო „ტომობაზე“ ცვლიან; მამული აღარად უღირთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისებურად შეუხამა ერთმანეთს რომანტიზმი და რეალიზმი, რაც მახასიათებელია მეცხრამეტე საუკუნის ძეგლთათვის. უნებურად თავისი განცდებიც შეურია პოემას და თვალნათლივ დაგვანახა ერეკლეს განცდები, იმდროინდელი ობიექტური პირობების საშინელება.

ლიანა ჯანგულაშვილი-გელაშვილი,
83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა
და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგი

ლეილა ვადაჭკორია

ბევრჯერ ჩამოვკრეფ თქვენთვის ვარსკვლავებს

პანია მეგობრებო! პოპულარული საბავშვო პოეტი **ლეილა ვადაჭკორია** შარშან შეგპირდათ: „ციდან ჩამოვკრეფ ვარსკვლავებს და დავურიგებ პატარებსო“. პირობა პირნათლად შეასრულა. სისტემატურად აქვეყნებს თქვენთვის ლამაზ ლექსებს, გეალერსებათ, დედაენის მადლს გაზიარებთ, ბუნებისა და მამულის სიყვარულს გასწავლით, სიკეთით გულს გიხალისებთ. მოკლედ, თქვენი მეგობარია, ვიცი, რომ თქვენ და თქვენს თანატოლებს მოგწონთ ლეილას ლექსები. ზეპირად სწავლობთ, ნაძვის ხის ზეიმზე მხატვრულად კითხულობთ, მღერით.

ახლახან ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში მე-2-მე-3 კლასელებმა მას შეხვედრა მოუწყვეს. პოეზიის ემოციური საღამო ჩატარდა. იყო აღფრთოვანება, გულახდილი საუბრები, რჩევა-დარიგებანი, ნიჭის შეჯიბრი – ცეროდენებმაც წაიკითხეს საკუთარი ლექსები. იქაც შეპირდა პანია მეგობრებს პოეტი: კიდევ ბევრჯერ ჩამოვკრეფ თქვენთვის ციდან ვარსკვლავებსო. ალბათ, არ გავამხელ დიდ საიდუმლოებას, თუ ვიტყვი: საბავშვო პოეტი **ლეილა ვადაჭკორია** რჩეული „ვარსკვლავების“ ერთად თავმოყრას, აკინძვას და თქვენთვის წიგნად გამოცემას აპირებს.

ლეილა არ ჰგავს დღევანდელ პოლიტიკოსებს, ბევრს რომ გვპირდებიან და ერთსაც არ გვისრულებენ. სიტყვის გატეხას თავის გატეხა ჯობიაო და აი, ეს ლექსები მოგვიტანა:

ალბომი „ჭიდა“

აუ, რამდენი თოჯინა
ნახა ერთად ლილემ,
– რაო, ჩემო ლამაზო,
ხომ არ მოიწყინე?

უჰ, რამდენი ცხოველია,
ფრინველი თუ მწერი,
ყველას უნდა მოეფეროს,
ჩამოართვას ხელი.

მელაკუდაც აქ ყოფილა,
მამლაყინწაც, მგელიც,
ყველაფერი ხიბლავს ლილეს
ვეფხვიცა და შველიც.

ფიქრობს, დედას ექნებაო
ამოდენა ფული?
ვერ მიყიდის, არ ვატკინო
დედას თხოვნით გული.

აირჩია ლილემ მხოლოდ
მომღერალი იხვი,
კარგად უნდა დავფიქრდეო,
სანამ რამეს ვიტყვი.

რა ჭკვიანი გოგონაა,
რა კეთილი, მშვიდი,
კიდევ მოვა „ჭიტაში“ და
დედა სხვას უყიდის.

ბუზლუნა თოჯინა

ცისფერთვალა თოჯინა
და ცისფერ კაბიანი,
დასკუპულა დივანზე
კოხტა, ქერათმიანი.

არც ჭამს, არც სვამს არაფერს,
არც იბანს, არც იძინებს,
მეტად თავისუფალია
და არც რამეს იტკივებს.

რად შენატრი თეონა,
ამ უსულო თოჯინას?
სულ ჭამაზე ბუზღუნი,
აბა, სად გაგონილა?

ჭამის დროს ხომ იზრდები
და გახდები დიდიო,
თოჯინა კი თუ იცვლება,
აბა, დააკვირდიო.

მურიკელას სასარული

თურმე როგორ მოვენატრე,
ალბათ, ბევრსა დარდობდა,
აღარასდროს არ დავტოვებ
მურიკელას მარტოკა.

ახლა რა ბედნიერია,
დადის კუდის ქიცინით,
თვალნი ისე უბრწყინავს
გეგონება იცინის.

ხან კალთაზე მეკიდება,
კოტრიალობს ფეხებთან,
სიხარულის გამოხატვა
მას ასე ეხერხება.

მივიჩქარით

სასწავლო წელი დამთავრდა,
მივიჩქარით სახლშია,
წარმატებით გადავედი
დღეს მეორე კლასშია.

სიხარულით შეგვეგებენ
მე და ბაბუსა ყველა,
ახლა ბაბუც დაისვენებს,
ახლა მასაც ეშველა.

საჩუქრები დაგვახვედრეს
ჩვენ რომ გვსურდა ისეთი,
ბაბუს – ახალი სათვალე,
მე კი – ველოსიპედი.

სასეირნოდ ერთად ვივლით
სკვერშია თუ ბაღშია,
ბებიკოსაც თან წავიყვანთ,
როცა წავალთ მთაშია.

ზღვისას მუდამ

ვაწყდები გალიის კედლებს,
მცვივა და მცვივა ბუმბული.
ამ ტანჯვას როგორ გავუძლებ
ერთი ნამცეცა სულდგმული.

განგებამ ფრთები შემასხა,
ცაში რომ ლაღად ვიფრინო.
გამიშვი, სული მოვითქვა,
ჩემი სამყარო ვიხილო.

სიკეთეს არ დაგივიწყებ,
ხშირ-ხშირად მოგინახულებ.
მოვალ და ამ შენს სარკმელზე
ნისკარტით მოგიკაკუნებ.

არჩილ სულაკაური

(დამატებითი ინფორმაცია არჩილ სულაკაურის შემოქმედების შესწავლისათვის)

„აქ არჩილ სულაკაურზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მის განვლილ გზასა და გამოცდილებაზე გვექნება საუბარი. ამ ღრმა, მრავალფეროვან, მშვენიერ სამყაროსთან ჩვენი დამოკიდებულება გვინდა გაგანდოთ, ამ სხვათაგან განსხვავებულ და გამორჩეულ მხატვრულ სინამდვილეზე ჩვენი აზრი გვინდა მოგახსენოთ.“

„ჩვენ უბრალოდ გეტყვით ჩვენს სათქმელს. არჩილ სულაკაურის მხატვრული სამყარო, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, მიუხედავად მისი ღრმა შრეებისა და მეტაფორულობისა, მაინც სადა და ელვარეა, როგორც ყველა ჭეშმარიტი თვალი პატიოსანი.“

„პოეტი თუ პროზაიკოსი?! ასე კატეგორიულად დაისვა კითხვა, როცა 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე ზედიზედ გამოაქვეყნა მოთხრობები. ახლა ამ კითხვაზე პასუხი ნათელია: ორთავ მუზის სული თანაბრად და უღალატოდ ფეთქავს მწერალში.“

„ადამიანის ცხოვრებაში დგება ჟამი, როდესაც ის საკუთარ არსებაში ეძებს თავის ნამდვილ სახეს, რათა ათრთოლებული თითებით მიეფეროს ბავშვის მზედაუკრავ კანს, სახეს ანგელოზისას და არა არსებობისთვის მებრძოლი ნადირისას, დიდია ეს სურვილი და აი მაშინ ვეძახით ჩვენს ბავშვობას უმწიკვლო სიზმრებად რომ მოგვევლინოს.“

„არა იმიტომ, რომ დავიღალე / და მინდა, ძილში მოვითქვა სული. / ო, ღმერთო, ერთხელ, მაჩვენე, კიდევ / ძველი სიზმარი, / ო, ერთხელ, ვიდრე / მარადიული ძილი მეწვევა, / ვიდრე ჯერ კიდევ შემიძლია გამოღვიძება“ - და აი, ეს სიზმარი ასე დაიწყებოდა:

არჩილ სულაკაური დაიბადა თბილისში 1927 წლის 15 თებერვალს კინოდრამატურგის ოჯახში. „მე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჩუღურეთში დავიბადე. მე მიყვარდა ჩემი უბანი და ვამაყობდი კიდეც, რომ მტკვარზე ვიყავი გაზრდილი, კარგად ვცურავდი და მდინარის ტალღებში შეცურებულ ნავზეც გვარიანად ვიდექი, ღონივრად ვმართავდი ხის დიდი ნიჩბითა და ხელჭოკით. ეს იყო ჩემი უპირატესობა სხვა უბნელების მიმართ.“

არჩილის მამა - სამსონ სულაკაური, კინოსცენარისტი, ქართული საბჭოთა კინოდრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: „შეხვედრა“, „უდაბნო“, „ქალი ხიდობანიდან“, „ორი ოჯახი“, ხოლო ფილმმა „იბრაჰიმი და გოდერძი“ სახელი გაუთქვა ადრეული წლების კინომატოგრაფიას. აღსანიშნავია ფილმი „ღრუბლების თავშესაფარი“, რომელიც საქართველოს მთიანეთში ცხოვრებას ასახავს. სამსონ სულაკაურმა გადასახლების მძიმე 15 წელიც გამოსცადა და რეაბილიტაცია მიიღო. გარდაიცვალა 1969 წლის 15 ივნისს.

არჩილის დედა - ქეთევან თევდორაძე-სულაკაურისა გამოირჩეოდა ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი თავდადებით ოჯახისა და შვილების მიმართ. როდესაც მეუღლე გადაასახლეს პოლიტიკური მუხლით, ქეთევანი 15 წლის მანძილზე მარტო ზრდიდა უმამოდ დარჩენილ შვილებს (არჩილსა და მის ძმას). სწორედ დედის ზრუნვამ და თავდადებამ იხსნა ისინი ომის მძიმე წლებში გაჭირვებისა და შევიწროებისაგან. ლია სტურუას სიტყვებს გავიხსენებ, რომელიც მწერლის ერთი სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ დაიწერა: „არჩილი თავისი თაობის განვალებულ, უმამო ბავშვობაზე ლაპარაკობდა და მაშინ ვიფიქრე, რომ ღმერთი იყო მათი მამა, ამ შესანიშნავი მწერლების, მათ ხომ სიტყვებზე ბატონობის უფლებას აძლევდა, გაორკეცებულს, სახლში უკაცობის გამო, ხოლო მათ დედებს - ერთი პურით და ხუთი თევზით ბევრი ადამიანის გაძღობის უნარს.“

„დედა“

„მოვალ, ალერსი რომ კვლავ მეგემა / და შენს ბაგეზედ დამხვდა ზაფხული, / ძველი ოცნება შემომეგება, / შენს ღრმა თვალებში შემონახული. / ალბათ, იგონებ, თუ წლების იქით / როგორ გამზარდეთ შენ და თბილისმა; / და ცრემლნარევი თვალებით გიკვირს / დავაჟკაცება შენი შვილისა. / დედა, რა მალე გავიდა წლები, / შენ თმებზე თოვლი გადაგეყარა. / მახსოვს ხელებში ამიტაცებდი, / რომ დამენახა შენით ქვეყანა.“

ძმა – კარლო სულაკაური – თოჯინების სტუდიის ცნობილი რეჟისორი იყო, მისი გადაღებულია თოჯინური ფილმები: „ნიკო და სიკო“, „შადრევანი“, „საზამთრო“, „ჩემი ტკბილი სალამური“, „ბომბორა“, „სალამურას თავგადასავალი“და სხვა. გარდაიცვალა 2000 წლის მარტში.

არჩილ სულაკაურმა დაამთავრა თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, როგორც პოეტი, სტუდენტობის წლებიდან მონაწილეობდა უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში. უნივერსიტეტის ალმანახ „პირველ სხივში“ სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ლექსები. პირველი კრებული 1951 წელს დაიბეჭდა. გურამ გვერდწითელი იხსენებს: „მახსოვს, უნივერსიტეტის გადაჭედილი დარბაზი სულგანაბული რომ უსმენდა არჩილ სულაკაურს, ჯერ კიდევ სტუდენტს. იგი სცენაზე იდგა და დაფიქრებით, დინჯად, დაბალი ხმით, სევდიანად და მორცხვად, თითქმის ჩურჩულით გვიკითხავდა საკუთარ ლექსებს. მერე ერთბაშად იფეთქებდა დარბაზი, ველარ იტევდა ახალგაზრდა პოეტის თაყვანისმცემელი სტუდენტების მოზღვავებულ ემოციებს. მგონი მარტო ნიკო კეცხოველი, უნივერსიტეტის რექტორი, მეცენატი, ქომაგი და მეგობარი ახალგაზრდა მწერლებისა, იჯდა ჩუმად, მაგრამ ამაყად, სახე ისე გაებადრებოდა ხოლმე, თითქოს საკუთარ წარმატებას ზეიმობდა.“ მსმენელი ისე არ გაუშვებდა, სანამ ლექსს „ნუ გათათრდები“ არ წაიკითხავდა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ არჩილი სიმონ ჩიქოვანმა მიიწვია ჟურნალ „მნათობში“ პროზისა და პოეზიის განყოფილების გამგედ 1957-1971 წლებში. არჩილი იხსენებს: „ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის სიმონ ჩიქოვანთან მუშაობა იყო ნამდვილი სულიერი უნივერსიტეტი...პირადად მე, ძველი თაობის მწერლებთან ძალიან ახლო, შეიძლება ითქვას, მეგობრული ურთიერთობა მქონდა: სიმონ ჩიქოვანთან, პავლე ინგოროყვასთან და სერგო კლდიაშვილთან... ბატონ სიმონს რომ არ შევხვედროდი, ალბათ, ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა. ლიტერატურული გემოვნება, ჩემი მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებები მასთან ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობებით გამოიკვეთა და დადგინდა (“ლიტერატურა და ხელოვნება” 1991 წ.N1 გვ.275)“. სწორედ „მნათობში“ მუშაობისას დაწერა თავისი პირველი მოთხრობა „ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფიან“. ლიტერატურული პრესა და კრიტიკა ფართოდ გამოეხმაურა ამ ნაწარმოებს, ითარგმნა მრავალ ენაზე, მოეწყო მოთხრობის გარჩევა, დაიწერა მრავალი წერილი და მას „სამოციანელთა თაობის პირმშო“ უწოდეს. მოთხრობა ინსცენირებულ იქნა და წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრების სცენებზე.

1971 წლიდან არჩილ სულაკაური დაინიშნა გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორად. მისი ხელმძღვანელობით ჩაეყარა საფუძველი მრავალ ახალ წამოწყებას: ითარგმნა საბავშვო ნაწარმოებები; სერიების სახით გამოიცა „სერაფიტა“, „დრო და ადამიანი“ (მცირე მატიანე), სადაც ნორჩი მკითხველი ეცნობოდა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართული პოეზიის“ XVII ტომეულის გამოცემა (1977-1985წწ.), რომლშიც თავმოყრილია ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები V საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის ჩათვლით.

„ერთხელ არჩილს დაავალეს ოცთაბახიანი წიგნის რუსულ ენაზე გამოცემა. ბატონი არჩილი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა, არ გამოსცა და ქართულ საბავშვო წიგნებს ქაღალდი შეუნარჩუნა. ასევე სასტიკი უარი თქვა გამომცემლობა „ნაკადულში“ რუსული რედაქციის გახსნაზე,“- იხსენებენ რედაქციის თანამშრომლები („ლიტერატურული საქართველო“ 1998წ.N48).

საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობას, მოზარდ თაობაზე ზრუნვას მიუძღვნა წერილები: „ჩვენი მუდმივი საზრუნავი“(„თბილისი“1980წ.); „ბავშვებს საუკეთესო წიგნები“ („თბილისი“1973წ.); „სკოლაში ბავშვის აღზრდაზე სკოლამ უნდა იზრუნოს“ („სახალხო განათლება“ 1997წ.). მისი პირველი საბავშვო ნაწარმოებია პოემა „თავნება ბაჭიები“(ჟურნალი „დილა“1955წ. 2). ზღაპარი “სალამურას თავგადასავალი“ იბეჭდებოდა ჟურნალ ცისკარში (1967,N2,3,4). 1971 წელს ამ ზღაპრისთვის მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. დაიდგა რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას რეჟისორობით. „ქართული ფილმის” მიერ გადაიღეს ფილმები: „ერთი ცის ქვეშ“ (რეჟისორი ლ.ღოღობერიძე 1961წ.); „ბიჭი და ძაღლი“ (რეჟისორი თ.გოშაძე 1971წ.); „ზევით და ქვევით“ გადაიღეს „ზღარბის“ სახელწოდებით (რეჟისორი ა.ნინუა 1979წ.).

1981 წლიდან არჩილ სულაკაური ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორია. სამოქალაქო ომის დროს, განუკითხაობისა და სისასტიკის პერიოდში „მნათობის“ რედაქცია ქუჩაში აღმოჩნდა. არჩილი თავგამოდებით იბრძოდა რედაქციის ბინისთვის, ტირაჟისთვის, ქაღალდისთვის. საქართველო, ქართული საზოგადოება იყო მისი ფიქრის მთავარი საგანი. მწერალს აწუხებდა ქვეყნის ზნეობრივი დაცემა, უსამართლობა ყოველ ნაბიჯზე:

„ტაძრის კარებთან მდგარი დილიდან / სამრეკლოს ზარებს დაველოდები, / საქართველოში რა ადვილია, / გადაგაბრალონ სხვისი ცოდვები. / გულთამხილაო, რამეთუ ვიცი / გაუტანლობა ამ წუთისოფლის, / ძნელია მაინც, ვიტვირთო სხვისი, / როდესაც ჩემი ცოდვებიც მყოფნის. / ღამე ვათიე თუ არ ვათიე, / სიზმარშიც შენი სანთელი მენთო / ისევ შემინდე და მაპატიე / ჩემიც და სხვისი ცოდვებიც, ღმერთო!“

მწერლის საუკეთესო მოთხრობები “ჩუღურეთულ ციკლს” მიეკუთვნება. მდინარე მტკვარი განსაკუთრებული თემაა მის შემოქმედებაში. მტკვარი მისი ბავშვობის მდინარეა: “ახლა დრო და დრო მესიზმრება მტკვარი, ჩემი ძველი მდინარე - კეთილიცა და დაუნდობელიც, მესიზმრება ისეთი, როგორიც თვითონ ცხოვრებაა, მესიზმრება ისეთი, როგორიც ოდესღაც, ბავშვობისას მინახავს. ღრმად ვარ დარწმუნებული, დღეს სულ სხვა კაცი ვიქნებოდი, ცხოვრების გზაზე მტკვარი რომ არ შემხვედროდა.”

მეუღლე - მერი პაიჭაძე; შვილები - გიგი (მწერალი) და ლაშა (მხატვარი). სწორედ ამ ადამიანებს უძღვნა ლექსი: “სახლი, რომელიც მიყვარს”. შვილებთან საოცარი ურთიერთობა ჰქონდა, სიყვარულით და სითბოთი შერწყმული. პირველად გიგის უკითხავდა თავის ნაწარმოებებს და პირიქით, უსმენდა შვილის ლექსებს. ლაშა მხატვარია, გააფორმა მამის წიგნები.

„ერთხელ არჩილმა როგორღაც მკითხა, - იხსენებს გიგი სულაკაური, - ხომ არ გინდა შენ შეადგინო ჩემი კრებული? გავიტრუნე და ხმა არ ამომიღია. კედლებს მიღმა სივრცეებს დავუწყე თვალიერება. არჩილს გაეღიმა: “ჰო, როგორც გინდა, ნება შენია.” მერე დიდხანს მწყდებოდა გული ჩემი მდუმარე უარისათვის, რა ნიშნით, როგორ უნდა შემედგინა-მეთქი, ვიმშვიდებდი თავს. მწყდებოდა იმიტომაც, რომ, როცა წამოვიზარდე და დავმეგობრდით, ბოლომდე, ვიდრე არ წავიდა, თითოეულ ლექსს მიკითხავდა. ლექსების ყველაზე ღრმა და შთამბეჭდავი ტვიფარი სამშობლოა, როგორც თვითონ უყვარდა თქმა. ჩემი ცხოვრების მანძილზე ძალიან ბევრ ადამიანს შევხვედრივარ, მაგრამ ძალიან ცოტა მინახავს, ვისაც არჩილივით უყვარდა თავისი ქვეყანა, - ეს განსაკუთრებული ნიჭია.”

არჩილ სულაკაური გარდაიცვალა 70 წლის ასაკში 1997 წლის 26 ოქტომბერს. მას საწერ მანქანაზე დარჩა დაუმთავრებელი მოთხრობა “დიდი სეფედავლე.” დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ელისო ლობჟანიძე - ბერიძიშვილი.

83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი.

გასწორება

ჩვენი გაზეთის ა. წ. 13 თებერვლის ნომერში გაიპარა კორექტურული შეცდომა: იყო სასწავლო ცენტრი **„ჯი-ელ-ესი“** – უნდა იყოს **„ჯი-ელ-სი“.**

რედაქცია ბოდიშს იხდის უნებლიეთ დაშვებული შეცდომის გამო.

პაროდია

„ყავას“ პრემიის ლაურეატი

მოუნდა გიგას პოეტობა და პოპულარობა. ლექსის წერას რა უნდა, კაშკაშა რითმა-რიტმი და მისი ჯანიო. ჟურნალ-გაზეთებში რამდენიმე ლექსი დაუბეჭდეს, მაგრამ სადაა სახელი და დიდება? იქვე, ახლოს იყო ლიტკლუბი **„ყავა“**. იმართებოდა კონკურსები. მსუყე პრემიებიც ჰქონდათ. რით მიექცია მათი ყურადღება? ჰო, მართლა! საკონკურსო ნომინაციებში საბავშვო ლექსები არ იყო. „მოდი, ერთი, **„ბასტი-ბუბუ“** გავრითმოო!“

ბევრი იჭყლიტა ტვინი, მაგრამ კაშკაშა რითმებს ვერ მიაგნო. გაახსენდა ერთი პოეტის ნათქვამი: **მუზა ტუალეტში მომდისო.** მაშინვე შევარდა და მუზამ უნიტაზიდან ამოსძახა: „ბასტი-ბუბუ“ შეაბრუნე, შეაბრუნეო! შეაბრუნა და წყაროსავით არ წამოვიდა? **„ბუბუ-ბასტი ბუბუ-ბასტი, მინდა გავხდე „ყავარასტი“, რომ არ მითხრან „ფანდარასტი“, უარესი, უფრო ხისტი“.** ასე რაკრაკით ბოლომდე ჩავიდა. კლუბ „ყავაზე“ რომ არაფერი ვთქვა, შეიძლება? და: **„კლუბი „ყავა“, „კლუბი „ყავა“, „ყავამ თუ არ დამიყვავა, მაშინ ვავა! მაშინ ვავა!“** ასე ვერ გავიმარჯვებ. სად არის აქ საბავშვო თემატიკა? ჰოდა, დაეპწკარა ქაღალდს ლექსები: **„ოცი ბუ და ათი ბატი, რამდენია, ჩემო ფატი? დავუმატოთ ასი კვატი, აბა, გამოიცან, რატი!“** რახან მუზა გაიხსნა, აი კიდევ: **„ბევრი პური, ბლომად ქადა, მომემატა ჭამის მადა, მაგრამ კუჭს რა გაუხარდა? კუჭი მალე დაავადდა“...** აი, სიახლე – სამედიცინო თემა!

კიდევ ბევრი შეაქუჩა და საკონკურსოდ გვარიანი კრებული გამოუვიდა.

პრეზენტაციაზე კრიტიკის კორიანტელს კი გადაურჩა, მაგრამ ორი მწვავე შენიშვნა მაინც მისცეს: სხვა პოეტის მიბაძვის ხმა გვესმისო და უფრო მთავარი – სექს-ტერმინებსა და ბილწსიტყვაობაში სერიოზულად მოიკოჭლებო.

საკონკურსოდ წარდგენილ წიგნში ხარვეზებს აღმოვფხვრიო, – შეჰპირდა და პირნათლად შეასრულა. ასე გახდა გიგა **„ყავას“ პრემიის ლაურეატი.**

მოსე მწერალი,
ჟიურის არაწევრი კრიტიკოსი

ნომრის სტუმარია მე-9 ბაგა-ბაღი

თავს ევლებიან, ასაფრენად ამზადებენ

გამწვანებული ეზო, საქანელებითა და ყვავილებით დამშვენებული არემარე, სამი არასტანდარტული შენობა და მშვიდი, წყნარი გარემო... ასე გამოიყურება მე-9 საბავშვო ბაგა-ბაღი და უჩვეულო არქიტექტურის მიუხედავად, სასწავლო პროცესი ისეთივე იდენტურია, როგორც სხვა საბავშვო დაწესებულებებში. აქ დიდი ყურადღება ექცევა კვების ხარისხს და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას.. ბაღის წარმატება და წინსვლა კარგი მენეჯერის დამსახურებაა, ამიტომაც არის, რომ მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამენ და ახლო მდებარე სკოლებიდან სამადლობელო ბარათებსაც იღებენ.

მე-9 ბაგა-ბაღისთვის მთავარი პრიორიტეტი ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაა, როგორც პატარებისთვის, ასევე აღმზრდელებისთვის. კარგი ხელმღვანელის თაოსნობით,

ერთ მუშტად შეკრული, მაღალკვალიფიციური კოლექტივი თავდაუზოგავად მუშაობს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ცუგრუმელებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ის აბსოლუტურად მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, გარემონტებულია საბავშვო ოთახები, საძინებლები, სველი წერტილები და სამზარეულო. ბაღი აღჭურვილია თანამედრობე ინვენტარით და სათამაშოებით.

ბაღს სათავეში უდგას გამოცდილი და პროფესიონალი ხელმძღვანელი, ქალბატონი **მანანა ჭილაია.** იგი უკვე 14 წელიწადია რაც დირექტორია და შეიძლება ითქვას, რომ ბაღი ააღორძინა. ქალბატონი მანანა

პროფესიით ექიმია. იგი დაიბადა და გაიზარდა პედაგოგების ოჯახში, არჩეული პროფესიის მიუხედავად, ბავშვების სიყვარულმა გადასძლია და საბოლოოდ, თავისი საქმიანობა მომავალი თაობის აღზრდას დაუკავშირა.

მანანა ჭილაია: ჩვენი ძალისხმევითა და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, შენო-ბა-ნაგებობები, დაიდგა და მოეწყო საბავშვო გასართობი მოედანი,უსაფრთხოების სისტემები. ასევე, მოხერხდა ფსიქოლოგების, ლოგოპედის, მეთოდისტის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება, ეს პროცესი კვლავ მიმდინარეობს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ წელს აღნიშნული სააგენტოს მიერ დაგეგმილია მუსიკალურ-სპორტული დარბაზის პროექტირება-მშენებლობა; ასევე, ახალი საბავშვო გასართობი მოედნის მონტაჟი, გამწვანება, აღმზრდელების გადამზადება და ა.შ. ეზოს ინფრასტუქტურა დამაკმაყოფილებელია, უფრო მოსაწონი, ჯგუფები გარემონტებულია და აღსაზრდელთა სიმრავლის მიუხედავად, ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ საადმზრდელო პროცესისათვის საჭირო მოთხოვნები.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, არის ახალი ინიციატივები და პროგრამები, რითაც ბავშვიც და აღმზრდელიც კმაყოფილილები არიან. თამაშით მიმდინარეობს სწავლება და პატარების გონებრივი განვითარება.

საბავშვო ბაღში სულ 390 აღსაზრდელია და 8 ჯგუფია. ღალკვალიფიციურ პედ.კოლექტივს ზედამხედველობას და დახმარებას უწევს მეთოდისტი **ნანა მჭედლიძე**, რომელმაც მრავალი წელი შეალია საყვარელ საქმეს, სკოლამდელთა აღზრდას. ქალბატონ ნანას დამსახურებით და ხელმძღვანელობით უამრავი თაობა აღიზარდა და დაფრთიანდა.

საგულისხმოა, რომ საბავშვო ბაღში სისტემატურად იმართება სხვადასხვა აქტივობები. პროგრამულ აქტივობებთან ერთად, ტარდება უამრავი ღონისძიებები, მათ შორის საქველმოქმედო აქციები. პატარები, ყოველ წელს სარვამარტო ღონისძიებას მართავს თემქაზე არსებულ მოხუცებულთა პანსიონატში, რომლის დირექტორია არაჩვეულებრივი ქალბატონი **დარეჯან თომაძე.**

დირექტორის თქმით, ბაღის ინიციატივით ჩატარდა საქველმოქმედო აქცია სახელწოდებით: **„წიგნი - ყველა ბავშვსა და სოფელს''**, შეაგროვეს წიგნები და საჩუქრად გადასცეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. ბაღს სტუმრობდნენ მწერალი **გიორგი კეკელიძე** და ბიბლიოთეკის თანამშრომლები. წიგნები, ასევე, საჩუქრად გადაეცა გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელს;

პატარებისთვის დასამახსოვრებელი იყო შემოდგომის აქცია, სადაც აღსაზრდელები დაეხმარნენ და ერთი ლამაზი დღე აჩუქეს ნაძალადევის თემში მდებარე მიუსაფარ ბავშვთა სახლს. ბაღში მოეწყო **„სამხატვრო გალერეა“** და სტუმრად მოიწვიეს ახალბედა მხატვრები.

დირექტორის თქმით, 2018 წელი საკმაოდ დატვირთული იყო შიდა თუ გასვლითი ღონისძიებებით, ტრენინგებით, საქველმოქმედო აქციებით და ჯგუფებში, ტრენინგებზე მიღებული სიახლეების დანერგვით. იმედს გამოთქვამს, რომ წლევანდელი წელიც ასევე გაგრძელდება, უფრო მეტი სიახლეებითა და ახალი მშენებლობით, ინფრასტრუქტურის განახლებით, უსაფთხოების ყველა ზომების დაცვით.

ერთი სიტყვით, ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ საბავშვო დაწესებულება იყოს გამორჩეული, სანიმუშო და და მთლიანად პატარებზე ორიენტირებული.

მზია გოგოძე

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა – ღირსებას!“

„იმერეთის მარგალიტები“, ანუ მივესალმოთ მომავალ დიდ მსახიობებს

„იმერეთის მარგალიტები“ სცენაზე ხელმძღვანელ დოდო მერკვილიშვილთან ერთად

ჩვენ გაზეთს სტუმრობს ზესტაფონის კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებული საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდიის **„იმერეთის მარგალიტების“** ნორჩ აღსაზრდელთა დასი (სტუდიის ხელმძღვანელია პედაგოგი, მუსიკოსი, სცენარისტი ქალბატონი **დოდო მერკვილიშვილი**). სტუდიის სიდიადე ის არის, რომ 40 წლის მანძილზე, უამრავი ბავშვი ეზიარა შემოქმედებით ტკბობას, იდგმებოდა საინტერესო სპექტაკლები, ვითარდებოდა და ყალიბდებოდა სიტყვისა და სახის მეტყველების კულტურა. უამრავი მსმენელი და თაყვანისმცემელი ჰყავს თეატრს. სცენაზე გაცოცხლდა **ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“, ერიკ ჟღენტის „მამობილი“, „ჭორიკანა კაჭკაჭი“, გივი ჭიჭინაძის „არა შეჯდა მწყერი ხესა“** და სხვა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სტუდიის ხელმძღვანელი, ქალბატონი **დოდო მერკვილიშვილი** თავად ქმნის საინტერესო სცენარებს. სპექტაკლებში გააფართოვა და ძლიერი შტრიხები შეიტანა მრავალფეროვნებამ. აი, მაგალითად: პირველად დაიწერა სცენარი ოჯახის ხელმისაწვდომ აუცილებელ საგნებზე – მუთაქა, ბალიში, აბრეშუმის საბანი, ლეიბი, სარკე, საათი, მაგიდა, გიტარა... თქვენ წარმოიდგინეთ, როდინი და ნიორიც კი. ეს ყველაფერი ცოცხალი ბავშვების შესრულებით, მართლაც სენსაციაა!..

სპექტაკლის სახელია **„ფასეულებათა რწმენა“**. კიდევ ახალი სპექტაკლი **„ნადირა“** იმერულ სახასიათო ესკიზებზეა შექმნილი.

ქალბატონი დოდო მრავალი მოკლემეტრაჟიანი ფილმის ავტორია. ამასთანავე სამი საბავშვო სრულმეტრაჟიანი ფილმია. საბავშვო დასი მიწვეული იყო რუსთაველის თეატრში. ბატონმა **რობერტ სტურუამ** მათ აკადემიური დარბაზი დაუთმო.

თეატრს ხშირად სტუმრობდნენ და დიდ შეფასებას აძლევდნენ გამოჩენილი მსახიობები: **გოგი გეგეჭკორი, ჯემალ ღაღანიძე, კარლო საკანდელიძე, ედიშერ მაღალაშვილი, ქალბატონი ზინაიდა კვერენჩხილაძე**.

აი, რა ბრძანა ქალბატონმა დოდომ: **„სიმშვიდის მომგვრელია და საკუთარი თავის ფასს შეიგრძნობ, როდესაც ცხოვრების განვლილ გზას უკან მოხედავ და იგრძნობ, რომ ფასს დაკარგავდა ყველაფერი, რომ არა თავდაუღალავი შრომა, პატიოსნება, ერთგულება, სიმამაცე, რაც აღსაზრდელების მიმართ გაგიღია და მშობლიური გარემოდან პატივისცემა მოგიმკია.“**

ვუსურვოთ მრავალი შემოქმედებითი ეფექტი და წინსვლა საბავშვო მუსიკალურ თეატრს **„იმერეთის მარგალიტებს“** და მათ ხელმძღვანელს, ქალბატონ დოდოს!

ელენე გედევანიშვილი

შეიძლება ითქვას, ელენე მოვლენაა ხელოვნებაში. აბსოლუტურად ფლობს და გადმოსცემს სახის მეტყველების მანერებსა და ხასიათებს. გარდასახვის დიდი უნარი გააჩნია, ფანტაზია კარნახობს, თუ რომელ როლს, როგორი ხასიათით უნდა მოერგოს. მასში შერწყმულია სილამაზე, ანუ პრაქტიკული და ესთეტიკური დანიშნულება. ბუნებისაგან დაჯილდოებულია სიმღერის არაჩვეულებრივი ტემბრით და შესრულების მაღალი კულტურით.

სცენაზე განასახიერა საინტერესო და შთამბეჭდავი როლები სხვადასხვა სპექტაკლებში: **„ჭიამაია“, „მუთაქა“, „დედაბერი“, „მტრედი“, „მაიმუნი“** და სხვ. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სცენა სპექტაკლიდან „ფასეულებათა რწმენა“, სადაც ოჯახის საგნებთან ერთად ზღაპრულად ითამაშა **„მუთაქის“** როლი. მისმა შესრულებამ ბავშვთა სამყარო აღტაცებაში მოიყვანა.

ელასტიური, ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, არაჩვეულებრივი სახის მეტყველება, ხმის ტემბრი, ცეკვის პროფესიონალი,

ელენე გედევანიშვილი

შეიძლება ითქვას, „მიუზიკლია“ ეს ბავშვი.

სწორედ ამაშია ადამიანის სილამაზე და სიდიადე თუ როგორი მიმართულებით წარმართავ აღსაზრდელის გონებას, რათა პედაგოგისა და მოსწავლის შეუჩერებლად საინტერესო შრომით მიაღწიო ჭეშმარიტებას, რომლის შედეგი მუდამ სულში ჩასახლდება და მის მიერ გამოწვეული სულის სიმტკიცე არასდროს შეირყევა და არასდროს დაგისხლტება.

ვუსურვოთ ელენეს წარმატებები და ხელოვნებაში მრავალფეროვნება!

ელენე ზიბზიბაძე

კიდევ ერთი საინტერესო გოგონა საბავშვო თეატრ-სტუდიის „იმერეთის მარგალიტების“ პატარა ჩამოყალიბებული მსახიობი, სასიამოვნო გარეგნობისა და



ელენე ზიბზიბაძე

სცენა სპექტაკლიდან „ფასეულებათა რწმენა“, „სარკე“

მოკრძალებული თვისებების მატარებელი. განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება თითოეულ შემოთავაზებულ როლს. თითქოს ყვავილს ეხებიო, ისეთი მგრძნობიარე და სათუთია. სცენაზე კი მრავალ საოცრებებს გვთავაზობს. აქვს უნარი მსმენელთა ყურადღება დაიპყროს.

გამოკვეთილად აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული სცენა სპექტაკლიდან **„ფასეულებათა რწმენა“**, სადაც ისე ოსტატურად მოირგო **„სარკე“** და გასაქანი მისცა თავს, მაყურებლისათვის შეექმნა არაჩვეულებრივი ფანტაზია, რომ ყოველგვარ საზღვარს გასცდა მისი შესაძლებლობები. იგი სცენაზე იდგა ლამაზად მორთული გაფორმებული დიზაინით. ოჯახში გამოსაყენებელ საგნებს შორის სარკეს ამცირებენ. ლაქებს აცხებენ. მაღალი ტონით ესაუბრებიან, განსაკუთრებით თავმომწონე **„მუთაქა“**, რომელიც მოითხოვს, პირველი სახე გახდეს ოჯახში. სარკე კეთილია. ის ცდილობს, თავისი სიმშვიდით და თბილად მოსაუბრე ტონით სარგებლობა მოუტანოს მათ და თავისი მოთმინებითა და სიყვარულით, მართლაც, ფასეული გახდება ოჯახის საგნებსა და მაყურებლებს შორის.

წინსვლა და წარმატებები ელენეს!

ნინი კაპანაძე

ნინი ხელოვნების სფეროს 4 წლიდან ეზიარა. შთაბეჭდილება, რომელიც სცენაზეა, მის მიერ შესრულებულმა როლებმა განუვითარა, არასოდეს გაქრე-

ნინი კაპანაძე

ბა მეხსიერებიდან. უჩვეულო შვებას გრძნობ, ენით გამოუთქმელ სიამოვნებას განიცდი და განცვიფრებული რჩები; ნუთუ შეიძლება, ჯერ კიდევ მცირეწლოვანმა, ასეთი შთამბეჭდავი სხვადასხვა სახეები შექმნას სცენაზე?! იგი ენდობა საკუთარ თავს, ალღოს, ფლობს არტისტიზმს. არაჩვეულებრივი მეტყველების კულტურას.

განასახიერა სხვადასხვა საინტერესო როლები: სცენა ერიკ ჟღენტის სპექტაკლიდან **„მამობილში“** – ოქროს ქოჩორა ვარიკა. **„ფასეულებათა რწმენა“** – **„საათი“, „ჭორიკანა კაჭკაჭი“** – **„გუგულის“** როლი. სცენა სპექტაკლიდან **„ნადირა“** – ინდაურის როლი და სხვ.

ბუნებით უწყინარი და გაწონასწორებული ბავშვია, დინჯი. უყვარს მინდვრის ყვავილები. მოწყენისთვის დრო არ რჩება, ცდილობს ყველას კეთილგანწყობა და სიყვარული გაუზიაროს.

ვუსურვოთ, სიკეთის ნაკვალევზე ევლოს ჩვენს ნინის, შემოქმედებითი ენერგია არ შენელებოდეს! ყოველი მორიგი სპექტაკლი ემოციის აფეთქება იყოს მისთვის. გაზაფხულის დილა და სიცოცხლის სიხალისე არ მოკლებოდეს!

სცენა სპექტაკლიდან „ფასეულოგათა რწმენა,“ „მუთაქა“.

გაგრძელება მე-11 გვ.

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა – ღირსებას!“

მე-10 გვერდიდან

თამუნა და მარიამ ხაჩიძეები

თამუნა და მარიამ ხაჩიძეები

მინდა გაგაცნოთ ეს ორი შესანიშნავი ხაჩიძე. მერწმუნეთ, სასურველი აზრი გაგიჩნდებათ, როდესაც მათ სცენაზე იხილავთ. განსაკუთრებულ სახეს ქმნიან და გარდასახვის არაჩვეულებრივი უნარით გამოირჩევიან. დილიდან საღამომდე გაუთავებლად მღერიან, ზედმეტი სახელიც „**ჭრიჭინობელა**“ შევარქვით. ერთი ნახვითვე ამოიკითხავთ მათ გულთბილ მზერაში სიყვარულსა და თანაგრძნობას.

ექვსი წლიდან ხელოვნებაში არიან ჩაფლულნი. ამბობენ, რომ შემოქმედებამ მათ სიკეთისა და ცხოვრების ღრმა წვდომის უნარი განუვითარათ და არასოდეს მიატოვებენ შრომითა და სიყვარულით მომადლებულ, გაკვალულ გზას.

ნამდვილი შთაგონებაა მათ მიერ განსახიერებული როლები.

მარიამი მარცხნივ, სცენა სპექტაკლიდან „**შვლის ნუკრის ნაამბობი**“ – „**არჩვი**“

„**მამობილი**“ – მელა.

„ჭორიკანა კაჭკაჭში“ – ჭორიკანა კაჭკაჭი.

„ნადირაში“ – დის როლი.

„ფასეულობათა რწმენა“ – ქალბატონი და სხვ.

თამუნა და მარიამ ხაჩიძეები

თამუნა ხაჩიძე მარჯვნივ:

„**შვლის ნუკრის ნაამბობი**“ – „კურდღელი“.

„**მამობილი**“ – და... მელია.

„**ჭორიკანა კაჭკაჭი**“ – დედა მაიმუნი.

„**ნადირაში**“ – მეზობელი შუშანა.

„**ფასეულებათა რწმენაში**“ – „**ლეიბის**“ როლი. ეს სპექტაკლი მართლაც საინტერესო აღმოჩნდა ბავშვებისათვის, სცენაზე გაცოცხლდა ოჯახის აუცილებელი საგნები და ეს საგნები უფრო მეტად შეიყვარეს. განსაკუთრებით მუთაქა და ბალიში.

მხატვრული სრულყოფილება არ მოგკლებოდეთ!

გოჩა სვანიძე

იბადებიან მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები,რომელთა ნიჭიც თაობიდან თაობას გადაეცემა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გოჩა სვანიძეს ბუნებამ შემოქმედებითი ნიჭი უწყალობა. ფლობს არაჩვეულებრივ არტისტიზმს, იუმორს, გამართულ მეტყველებას, პლასტიკას. სრულად და ნათლად გადმოსცემს მორგებულ როლში, თავისი გმირის თვისებებს, საუკეთესო დეკლამატორია. მისთვის იღბლიანი აღმოჩნდა პროექტი „**გააცინე და მოიგე**“, სადაც ისეთი იმერული კვიმატიანი იუმორებით წარსდგა და ჟიურიც განცვიფრებული დატოვა. ეხვეწებოდნენ, აქედან პირდაპირ რუსთაველის თეატრში წადიო. დასასრულს კი მაყურებელს წაუკითხა ზურაბ კვეტენაძის „**ბოშო**“, ეს კი სენსაცია აღმოჩნდა.

მინდა გითხრათ, რომ გოჩა ბუმბერაზი მსახიობების გზას გააგრძელებს, როგორებიც იყვნენ: **იპოლიტე ხვიჩია, აკაკი კვანტალიანი, სანდრო ჟორჟოლიანი** და სხვანი. მხატვრული სრულყოფილებით გამოირჩევა მისი შინაგანი სამყარო, მოყვასის მიმართ მუდამ ერთგულ სამსახურშია.

თეატრ-სტუდიაში განასახიერა საინტერესო პერსონაჟები, განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს „**ჭორიკანა კაჭკაჭში**“ ბადრაგის როლი. იმდენად ეფექტი

გოჩა სვანიძე

გამოიწვია მაყურებელში, გოჩას სცენიდან აღარ უშვებდნენ, ნაყოფი გამოიღო.

სპექტაკლ „**ნადირში**“ მთავარ როლს ნადირას თამაშობდა. ეს სპექტაკლი უცხოა ფართო მაყურებლისათვის, რადგან სცენარი ახალია და თვითონ გოჩას პატივსაცემად დაიწერა, როგორც კარგი ტიპაჟი. სპექტაკლში გამოკვეთილად სჩანს თუ როგორი უქნარა და უვიცი ბიჭია ნადირა, მთელი დღის განმავლობაში იმაზე ფიქრობს, რა ჭამოს და რითი გაერთოს, ცხოველებს და ოჯახის წვრილფეხს უხეშად ექცევა, ჩიტებს ხოცავს, რის გამოც ბოლოს ყველასგან მიტოვებული რჩება. მარტო ბატკანი დასდევს აქეთ-იქეთ. ბოლოს შიმშილით კრიჭააყვირებული ამ უკანასკნელს დაადგამს თვალს. ბატკანი იგრძნობს ნადირას ჩანაფიქრს, მაგრამ არ გაურბის, იგი მორჩილად მუხლებზე დგება და თვალებში შესცქერის შიმშილისაგან თვალებგადმობრუნებულ და ხელში დანამომარჯვებულ ნადირას. მერე ზურგით შებრუნდება და წაიჩურჩულებს: ნადირა... რომ გითხრა, კარგი საქციელისთვის მსხვერპლად მწირავ, ღვთისაგან მადლი მოგეცემოდა, მაგრამ გული მტკივა იმის გაფიქრებაზე, ოღონდ მუცელი ამოივსო, სხვა არა განაღვლებს რა. ჩემი სიკვდილით, შენს

გოჩა სვანიძე

ჩადენილ ბოროტებას ვერ გამოისყიდი. ილოცე! ნადირა გაშტერებული იდგა, სახე უფერული გახდომოდა. ნელ-ნელა დამძიმებული ხელი უღონოდ დაუშვა და მოვარდნილი ნიაღვარივით აქვითინდა. სოფლის ბოლოში სამლოცველოდან მგალობელთა ტკბილი ხმები მოისმოდა. ნადირა გრძნობდა, რომ მას ადამიანობა დაბრუნებოდა.

კარგი ნათქვამია, ნიჭიერი შემოქმედი შენც შემოქმედად გაქცევსო. შემოქმედებითი ემოციები არ დაგლეოდეს, გოჩა, კიდევ მრავალჯერ გაგეცვიფრებინოს ფართო მაყურებელი!

საბა მაღლაკელიძე

ანცი, სიცოცხლით სავსე და უამრავი შთაბეჭდილების ერთად ამთვისებელია. მისი ცნობისმოყვარული მოსაზრებებით **დავით კოპერფილდი** წარმოგიდგება. თავს ართმევს კონტრასტულ როლებს. პატივს სცემენ მის შრომისუნარიანობას, შემოქმედებით გონებას, რომელიც სცენაზე ჰქმნის საინტერესო და იდეალურ სახეებს. გავბედავ და გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ **საბა მაღლაკელიძე** ხელში ასატაცებელი ფენომენია, ნიჭიერების შეუწყვეტელი ნაკადი. გარდასახვის თანდაყოლილი პროფესიონალური უნარით.

მოდით მივყვეთ საბას მიერ შესრულებულ როლებს. დარწმუნებული ვარ ის მშვენიერებასთან მიგვიყვანს. სპექტაკლში „**ნადირა**“ ფინკა ძაღლის როლი განასახიერა. როლს ისე გულმოდგინედ უკირკიტა, ღრმად ჩასწვდა და დახვეწა... სანამ ბოლომდე რეალობაში არ მოირგო. მაყურებლის ემოციას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ნადირას ეზოში ჭორიკანა მეზობელმა თავი შემოყო „**ფინკა**“-საბამ ისეთი წკავ-წკავით შეუტია... და თან ადგილზე ბურთივით ხტოდა. ასეთმა მიბაძვამ მაყურებელში გულიანი სიცილი გამოიწვია. იქიდან ყეფა-ყეფით გამოიქცა და ხის ძირში გაგორებულ უქნარა, მძინარე ნადირას ისე ოსტატურად მიაფსა, როგორც ძაღლებმა იციან.

სცენა ვითარდება, პატრონისაგან უყ-

საბა მაღლაკელიძე

ურადღებოდ დარჩენილი მშიერი ძაღლის ფიქრებში უმადური, ღორმუცელა ნადირა გაღრნილ ძვლის მეტს რომ არაფერს იმეტებს.

ასევე საინტერესო აღმოჩნდა მის მიერ შესრულებული როდინის როლი სპექტაკლში „**ფასეულებათა რწმენა**“. სახალისო იყო როდინისა და ნიორის დიალოგი. საქართველოში ეს სპექტაკლი ნამდვილად ყველა ბავშვმა უნდა ნახოს.

საბას კიდევ ახალი სპექტაკლი ელოდება. **ზურაბ კვეტენაძის** „**მალაქია**“, სადაც ის ბაზარში მტვირთავ 9 ნლის ბიჭს განასახიერებს.

ვუსურვებთ საბას სრულყოფილ და შემოქმედებით ცხოვრებას, რომ მისი ხასიათი მუდამ სიკეთეს და შრომისუნარიანობას დაემორჩილოს.

ნიკა სხილაძე

ამოუცნობი ფენომენია. მისი იუმორი საკმარისად ტევადია, რამაც მიიპყრო ფართო მაყურებლის ყურადღება. მასში შემოქმედებითი ენერგია უმაღლეს მწვერვალს აღწევს. აღარ აკმაყოფილებს

ნიკა სხილაძე

მცირე როლები. მოკლედ, უნდა ითქვას, რომ თავის ბედ-იღბალს ხელოვნების სფეროში მიაგნო. სცენაზე თითოეული მისი მოძრაობა ხიბლსა და ცრემლისღვრის მოულოდნელ უნარს უნარჩუნებს მაყურებელს. საოცარი სულიერი სამყარო აქვს, არ ახასიათებს ექსცენტრული და ახირებული ხასიათი. პირიქით, დიდი ენერგია და სითბო იღვრება ყოველ მის გამოხედვაში. განასახიერა ბევრი საინტერესო როლები. სპექტაკლში „ნადირა“ ითამაშა ბურვაკის როლი. სცენაზე პატრონს ჯაჭვით შემოჰყავს. თავბრუდამხვევი იყო მისი თამაში, მაყურებლებში კეთილი იმპულსის აღმძვრელი, როდესაც მძინარე ნადირას თავზე დაადგა და დინგით დაუწყო ჩიჩქვნა. აქ იკვეთება დიალოგი ნადირასთან: შენ ადამიანად დაბადებულხარ, ნადირა! მაგრამ ხომ ხედავ, შენი საქციელის გამო ცხოველის სახელი შეგარქვეს. მართალია, მე ღორი ვარ, მაგრამ, შენგან განსხვავებით, საჭირო და აუცილებელი. პატრონი რამდენ ულუფა საჭმელსაც მაჭმევს, იმდენი კილო ემატება ჩემს სამწვადე ხორცს. შენ კი გამოუსადეგარი აგდიხარ ხის ძირში.

ნადირამ იცის ღრუტუნას სუსტი წერტილი, მუცელზე ხელს მოუთათუნებს და წაიღიღინებს, ღუტას ხანახანაო... ღუტუნაც იქვე წაგორდება და ხვრინვას ამოუშვებს. სწორედ აქ უნდა აღვნიშნო ნიკას ნიჭიერება, ისე ხვრინავს, რომ მსმენელს ჰგონია მართლა ღორს თუ ძინავს. კიდევ გავიმეორებ, ცრემლისმღვრელი ეფექტი ეფინება დარბაზს. ნიკა ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე. არანაკლები გამოხმაურება ჰპოვა „**მზარეულის**“ როლმა, რამაც კიდევ უფრო პოპულარობა მოუტანა მას. ნიკას კიდევ მრავალი საინტერესო თეატრალური ცხოვრება ელოდება.

ელენე მოდებაძე

ერთ შემოდგომის თბილ დღეს, კულტურის შემოქმედების ცენტრში, რეპეტიციის მსვლელობის დროს, კარი ფრთხილად შეაღო პატარა თვალებხატულა გოგონამ და იქვე კუთხეში მიიყუჟა. პედაგოგმა გაიფიქრა, ალბათ, რომელიმე მონაწილეს ელოდებაო და რეპეტიცია განაგრძო. დასასრულს, როდესაც ყველა გაიფანტ-გამოიფანტა, ის ისევ უძრავად იდგა და მორიდებით შესცქეროდა თეატრის ხელმძღვანელს. „ვის ელოდები, პატარა?“ – ჰკითხა მაესტრომ. მან ახედა და მორიდებით ჩაილაპარაკა, „თქვენ!“

გაგრძელება მე-12 გვ.

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა – ღირსებას!“

მე-11 გვერდიდან

„მეე?..“ გაიკვირვა და იმ წამს გაიფიქრა, მარტო როგორ იქნება? „აქ როგორ მომაგენი?“ „მეორე დარბაზში ცეკვის რეპეტიცია მაქვს... და თქვენი ნახვაც მინდოდა.“ „არ მეგონა, თუ მიცნობდი!“ „გიცნობთ! – იყო თამამი პასუხი, – ყოველთვის ვესწრები თქვენს მიერ მომზადებულ საბავშვო სპექტაკლებს და...“ პაუზა... მიუხვდა სურვილს გამოცდილი მოძღვარი.

ელენე დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, მომხიბვლელი პატარა მსახიობია. სხვადასხვა სპექტაკლებში უნიკალური სახეები შექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია **„კუს“** როლი, ისე სახალისოდ მობობღავდა სცენაზე, მართლაც კუ გეგონებოდათ. დიალოგიც დინჯი და გაწონასწორებული ჰქონდა. კოსტიუმიც შესაფერისი დიზაინით იყო შექმნილი.

ელენე მოდეგაძე

მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა მის მიერ შესრულებულმა „ნიორის“ როლმა, სცენა სპექტაკლიდან **„ფასეულებათა რწმენა“** ნიორისა და როდინის პარტია: ბიჭოო... გამიჩერდი... რომ დალაყუნობ შენი ბელტივით ქვასანაყით აქეთ-იქით, სჯობს სამზარეულოში შემოხვიდე, ჩამაჩეჩქვინო მაგ მოსაჩეჩქვ თავში 2 კბილი ნიორი... ხომ ხედავ სადილს აგვიანდება? როდინი ახლოს არ იკარებს, გაიწი იქით ნივრის სუნად ყარხარ, მთელი დღეა ვიბან თავს და შენი მყრალი სუნი ვერ მოვიცილეო. ნიორი აფეთქდება: მე ძვირადღირებული ბოსტნეული ვარ, ქინძსა და ქონდარში ხომ არ გეშლებიო? ამ საინტერესო სახალისო დიალოგმა დარბაზში ისეთი სიცილი გამოიწვია, რომ სცენა კაი ხნით გაჩერდა.

ელენეს ახალი როლი ელოდება – **„ბატის“**, რომელიც პატრონს ბაზარში გასაყიდად ჰყავს გამოყვანილი. ეს როლიც ფრიად საინტერესოა.

თეატრ-სტუდია **„იმერეთის მარგალიტები“** ელენეს ცხოვრებას ლაიტმოტივად გაჰყვება.

თათული ხუჯაძე

რჩეულთა შორის რჩეულიაო, ამ ბავშვზე ითქმის. ფიქრებს და ემოციებს გამოთქვამს ისე რეალურად, თითქოს ზრდასრული იდგეს შენს წინაშე. 2 წლინახევრიდან ეზიარა სცენას. პირველად **ერიკ ჟღენტის „მამობილში“** წიწილას როლი განასახიერა. ძალიან ნერვიულობდა რომ არ შეცვლოდა ხასიათი და უარი არ ეთქვა თამაშზე. თუმცა რეპეტიციაზე მშვიდად და თავისუფლად იქცეოდა. სცენა, სავსე დარბაზი, ეგონა ცუდად იმოქმედებდა... მოკლედ, გარისკეს. ჰოი საოცრებავ!.. იმედმა გაამართლა! უნდა გენახათ თათული ე. ი წიწილა როგორ აშოშმინებს მის გამზრდელ მამობილს ე. ი. მელას, რომელსაც თავისი გამოჩეკილი წიწილები შვილივით შეჰყვარებია და შეაჭმელად ვეღარ იმეტებს. ეს ნაბოლარა წიწილა კი სულ აგიჟებს, ეფერება და ეჟღურტულება: მელაკუდა, მე შენი გამოჩეკილი ვარო. მაყურებლის ემოციას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 2 წლინახევრის თათული მამობილს ეკვრის. მთვარის შუქზე ნუ გამიყვან, შენთან დამტოვეო. მაგრამ ფინალი ასე ვითარდება, მამობილი მელია, რომელსაც თავისი გაზრდილი ვარიები შვილებივით შეჰყვარებია, იძულებულია უკან დააბრუნოს და მამათა ოჯახს მიჰგვაროს, რადგან მის საქციელს მთელი სამელეთი მტრად გადაჰკიდებია. დარბაზში კი კეთილგანწყობა და ჰარმონია სუფევდა.

თათული ხუჯაძე

არანაკლები წარმატება მოუტანა სპექტაკლმა **„ნადირა“**, სადაც თათულიმ ბატკნის როლი განასახიერა. ეს იყო მორჩილი, გულის სიკეთით დამტკბარი ბატკანი, რომელიც ნადირას უხეშობას ისე განიცდის, რომ სულ ილოცება, მოუწოდებს მას შრომისკენ, კეთილდღეობისკენ, მაგრამ ამაოდ. ძლიერი ეფექტი გამოიწვია სპექტაკლის ფინალმა. მშიერი ნადირა მლოცველ ბატკანს დასაკლავად ეპარება. ბატკანი გრძნობს და არ გაურბის, პირიქით, მშვიდად და აუჩქარებლად ესაუბრება... რომ მისი სიკვდილით ნადირას ბოროტი საქციელები არ გამოსწორდება. მაყურებელი დაძაბული უსმენს რა მოხდება. ბატკანი განაგრძობს: კარგი იქნებოდა მსხვერპლად შეგეწირე თუ ამით სიკეთეს დაიბრუნებდი. ნადირას ნელ-ნელა ნუგეშისცემა ეუფლება. დიდმნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ღირსეულად გაართვა თავი ამ ურთულეს როლს.

თათული ხუჯაძე

„მანათობელი“ სპექტაკლიდან **„ფასეულებათა რწმენა“**. ის ქალბატონის უსაყვარლესი და უერთგულესი მანათობელია. სამწუხაროდ, ოჯახში საგვარეულო განძი იკარგება, რომლის არსებობა მარტო მანათობელმა იცის... და ქალბატონმა ეჭვი სწორედ მასზე აიღო... და გაბრაზებულმა სახლიდან დაითხოვა. იგი ტოვებს სიყვარულით იმედგაცრუებულ ოჯახს, სადაც ყოველდილით ვიოლინოს ჰანგებით ართობდა ერთგულ ქალბატონს. აი ამ სცენას არაჩვეულებრივი არტისტიზმით და განცდებით გადმოსცემს. მაყურებელი შეძრა... როდესაც ნატვრის თვალი ბოროტი ჯადოქრის ხელში აღმოჩნდება. ფინალი აქარწყლებს ყოველგვარ ეჭვს და სავსე აუდიტორიიდან ემოციებიც მშვიდდება. უნდა მოგახსენოთ, რომ ბავშვობიდან მოღვაწეობა ზნეობრივ მოვალეობასა და სიკეთისადმი რწმენას აღვივებს, უნარიანს ხდის საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

„ბავშვებო, სული ჩემი თქვენს ზრუნვაში ჩაილევა და დატოვებს იმ ნაკვალევს, რასაც სიყვარულის გამოძახილი ჰქვია,“ – ფიქრობს გუნებაში ზესტაფონის კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებული საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდიის **„იმერეთის მარგალიტების“** ხელმძღვანელი, ქალბატონი **დოდო მერკვილიშვილი.**

დავით გვალია

ცოცხალი და მეტყველი ღიმილი აქვს და ეს ღიმილი იმდენ სითბოსა და გულწრფელობას იტევს, იმ წამსვე გულითადი თანაგრძნობა გაგიჩნდება. ამავე დროს რკინის ნერვები უნდა გქონდეს, მის მოუსვენარ ხასიათს თვალყური ადევნო. თავგამოდებით ეძებს ხეირიან სახალისო მომენტს, რომ უკეთ გაერთოს. ბრწყინვალე დეკლამატორია! არაჩვეულებრივი ხმის ტემბრი, იუმორის მომეტებული ნიჭი. სხვადასხვა სპექტაკლებში თავი გაართვა სერიოზულად დატვირთულ რთულ როლებს – **„მამალი“**, **„ვეტექიმი“**. **„ჭორიკანა კაჭკაჭში“** ადვოკატის როლი, მგლის პარტია. ამავე დროს პროზაულ ნაწარმოებების კითხვის პროფესიონალი ოსტატი, კონკურსებში გამარჯვებული. ამ ბოლო დროს კიდევ ერთი წარმატება ხვდა წილად. ჟიურის სიმპათია დაიმსახურა **ზურაბ კვეტენაძის „მალაქია“**-ში. მაგრამ მაინც გამორჩევით უნდა აღინიშნოს მის მიერ შესრულებული გიტარის როლი სპექტაკლში **„ფასეულებათა რწმენა“**.

სპექტაკლის მსვლელობის დროს, მისი გამოსვლის დრო რომ დგებოდა, კულისებში მიმოიხედა ხელმძღვანელმა და... დათო არსად ჩანდა. ცეცხლი მოენთო ხელმძღვანელს, დერეფნებში ეძება... ჰოი, საოცრება... რას ხედავს, დათოს ასაკთან ბევრად უმცროსი ბავშვები ახვევია და ართობს. გიტარა, რომლითაც სპექტაკლში უნდა ეთამაშა, ტარით შეუბრუნებია და თითქოს თოფის ლულას უმიზნებსო, ბავშვებისთვის მიუშვერია, თან მოუწოდებს, არ გაინძრეთ! ალყაში ხართ მოქცეული!.. ბავშვებიც სიცილით იგუდებიან. სასოწარკვეთილმა ხელმძღვანელმა გასძახა, დათო!.. შეცბა, თითქოს, მართლა ალყაში მოექცა. დაფეთებული გავარდა და წამებში მოასწრო სცენაზე შესვლა, სადაც პატრონისგან სანაგვეზე მიგდებულ გიტარის როლს თამაშობდა. იგი სცენაზე დადგა, მზერა სადღაც შორეულ სივრცეს მიაპყრო, დარბაზში გიტარის ექო გაისმოდა და დაიწყო მონოლოგი თუ როგორ უდიერად ეპყრობოდნენ ღრეობას გადაყოლილი, მუცელზე ღიპებჩამოკიდებული მოქეიფეები. სიმები დაუწყვიტეს, გული აუხიეს, დოლადაც გამოიყენეს და შემდეგ ასეთი განადგურებული, პატრონმა დილით გამოიტანა და იქვე სანაგვეზე მიაგდო. შემთხვევით ხელოვანმა გამოიარა, ფრთხილად აიღო... მოუარა და აამღერა. მაყურებელი თითქოს სამყაროდან გასულიყო. სცენა სიჩუმის პაუზამ მოიცვა, თითქოს დარბაზში აღარავინ ყოფილიყო. მერე კი მოულოდნელად ტაშის ნიაღვარი წამოვიდა... ხელმძღვანელი გაოგნდა... და უნებლიე „ღმერთო დიდებულო!“ აღმოხდა. დათო კულისებში შევიდა და სევდიანად მიაჩერდა. როლი ისე განეცადა, რომ სახე მთლიანად დანამული ჰქონდა. მოძღვარმა იგი გულში ჩაიკრა და გაიფიქრა: მეტად უნდა მოუსმინო და გაუგო ნიჭიერ ბავშვებს, რათა ეს მოუსვენარი სიცელქეც ნიჭიერთა გამოძახილია... და იგრძნო, რომ შთაბეჭდილება გაიზარდა.

დავით გვალია

ანანო ურიათმყოფელი

ანანო ურიათმყოფელი

ქვეყნად არ არსებობს პიროვნება, ანანოს პირველ დანახვისთანავე კეთილი სახე არ შექმნას, მისი სილამაზე და მომხიბვლელობა გადამდებია, ძალიან მდიდარი სულიერი სამყარო აქვს. 4 წლის იყო ბოშა გოგონას როლი რომ ითამაშა. ბუნებრივი დახვეული თმები, ხორბლისფერი სახე, ბოშური კაბა და... მაყურებლის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. სცენაზე პატარა თეძოები და ბეჭები რომ შეარხია თავხედური მიხვრა-მოხვრით, თვალების უეცარი ტრიალით, ეს ყველაფერი დაუვიწყარია. მრავალმა როლმა გაიარა მის შემოქმედებაში, მაგრამ **„აბრეშუმის საბანი“** განუმეორებელი იყო. კეთილშობილი და თბილი ქალბატონის საყვარელი საბანი. ის იცავს ოჯახის ღირსებას. უნდა რომ მყუდრო ცხოვრება ჰქონდეს, მაგრამ ბალიშსა და მუთაქას ვერაფერს უხერხებს. მათი გამოწვეული სისტემატური ჩხუბით ოჯახში კეთილგანწყობა ირღვევა. სპექტაკლში **„ფასეულებათა რწმენა“** კიდევ ჯადოქრის როლს ასრულებს,რასაც სრულყოფილად გაართვა თავი.

ანანო ამავდროულად **ევროპული ცეკვების** დიდოსტატია, რაც მის ნიჭიერება კიდევ მომხიბლელობას სძენს. ნათქვამია, ნიჭი უნდა მოგდევდეს მშვენიერების აღსაქმელადო და ეს სწორედ ანანოზეა ნათქვამი.

გაგრძელება მე-13 გვ.

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა – ღირსებას!“

მე-12 გვერდიდან

ვუსურვოთ მას შემოქმედებითი წარმატებები. სილამაზითა და სიცოცხლის უნარიანობით განევლოს გზა, რომელსაც უამრავ საჩუქრებს პირდება მას. დღეგრძელი და მზიანი ყოფილიყოს ყოველი განათებული დილა.

დეა დეკანოიძე

ეს გოგონა ნამდვილი შემოფეთებაა „იმერული მარგალიტების“ ხელმძღვანელის შემოქმედებაში. მისი უბრალო მოყოლაც კი შთამბეჭდავია, განუსაზღვრელი ფანტაზიებით თავაზიანი და მომხიბვლელი. თავის სისავსით და სიხალისით. მრავალფეროვანია საზომი მისი აზროვნების, სიცოცხლეს ყვავილობა და სილამაზე სუნთქავს დეას თითოეულ გამოხედვაში, ოქროსფერია ხასიათები მისი. წელს შევიდა სტუდიაში და უკვე გადმოსცემს იმ მრავალფეროვნებას, რაც ხელოვნებას ასულდგმულებს. მშვიდი იმპულსის მატარებელი. მორაკრაკე ნაკადულის დინებას ჰგავს დეა, რომელსაც ვერ შეჰკადრებ წყლის ამღვრევას, სუფთა ხელებით უნდა შეეხო მას. დაუოკებელი სწრაფვა აქვს სწავლასა და მოყვასის ურთიერთპატივისცემის დამოკიდებულებაში. ვიცი რომ წინ ამაღლებული შემოქმედებითი გზა ელოდება.



დეა დეკანოიძე

მისი პირველი მონაწილეობა იქნება **ზურაბ კვეტენაძის „მალაქიაში“**, სადაც ის ალალი, კარტოფილის გამყიდველი ქალის როლს ასახიერებს.

„მინდა ყველა ბავშვს თანაგრძნობითა და დიდი ენერგიით მოვეკიდო, – ამბობს სტუდიის ხელმძღვანელი, ქალბატონი დოდო, – ბრწყინვალებაა, როდესაც შენი ნამუშევარი სცენაზე გადის და ამ ბრწყინვალებას მაყურებლის აღიარებამდე მივყავართ. და ბოლოს, სასიამოვნო მოგონებები გაიღვიძებს თითოეული ბავშვის მეხსიერებაში, ნამოღვაწარის, რომლის მადლი თაობიდან თაობას გადაეცემა.

ამ ჭეშმარიტებით დავუდგები დეას გვერდით და ხელოვნების ზღაპრულ სამყაროს ვაზიარებ.“

გიორგი ჭიჭინაძე

შეიძლება ითქვას, გიორგი შემოქმედებითი სულით მღერის. 3 წლიდან სცენაზე დგას. მისი ქება-დიდება არასოდეს მოგბეზრდება. ჯერ კიდევ 4 წლისა რუსთაველის თეატრში მიიწვიეს ქალბატონ **დოდო ჭიჭინაძის** საღამოზე. მან სცენაზე **საიათნოვას** ლექსი **„მეგობარს თუ უღალატე“** წაიკითხა. დარბაზში კორიფეები ისხდნენ: **ოთარ მეღვინეთუხუცესი, ედიშერ მაღალაშვილი, თენგიზ არჩვაძე** და სხვანი. საღამოს დასასრულს რიგი დადგა, რომ გიორგი ახლოს ენახათ. ხოტბას ასხამდნენ.

სცენაზე აბსოლუტური ერთგულებითა და განცდებით განასახიერებს მის მიერ არჩეულ როლს. სიკო და ნიკო. ნიკოს პარტია, **„მამობილში“ „კატა“**, **„ფოცხვერი“** და რომელი ერთი... შესანიშნავი მოცეკვავეა (ქორეოგრაფი **გია ენუქიძე**). ამავე დროს თავი გამოიჩინა სპორტში – თავისუფალ ჭიდაობაში (მწვრთნელი **რეზო მოდებაძე**) უამრავი დიპლომების მფლობელია. მაგრამ მისთვის სცენა უცვლელია. ბრწყინვალე დეკლამატორია.

გიორგი ჭიჭინაძე

საქართველოს თეატრალური საზოგადოების იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ **ლევან როხვაძემ** გიორგი ჩოხოსანთა რიგებში ჩარიცხა. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული გიორგი სოფ. არგვეთის მკვიდრი. უყვარს მიწაზე მუშაობა, მოყავს იმერული სანაქებო ყურძენი **„ოცხანური“**, უვლის ბაღჩა-ბაღს, სადაც ნაირ-ნაირი ხეხილი აქვს გაშენებული. ყურადღებიანი თვალებით გიმზერს და

დოდო ჭიჭინაძია სალამოზე

გეპატიჟება. აი ეს არის სიკეთე. ის ნამდვილი უფლისწულია, რომელსაც სამყარო შეჰყვარებია. დარწმუნებული ვართ შემოქმედებითი ენერგია არასოდეს გაუნელდება, რადგან ის განგებამ უწყალობა. ვუსურვოთ უამრავი ენერგია და სითბო, სიცოცხლის დალოცვა არ მოჰკლებოდეს.

ქეთინო ჭიჭინაძე

ადამიანებთან თანასწორობა ყველაზე მეტი ღირსებაა ღირსებათა შორის, განსაკუთრებით პედაგოგის მოღვაწეობაში, რათა თითოეულ მოსწავლეს, თავისი ხასიათის მიხედვით, მოერგო და განუვითარო საკუთარი თავის პატივისცემა და მოყვასის მიმართ კეთილგანწყობა.

„სწორედ ქეთის ხასიათს მინდა შევეხო, – ამბობს სტუდიის ხელმძღვანელი, – მას მოწაფესავით ვერ მოეპყრობი. ურთიერთობაში თავს გახსნის უფლებას არ აძლევს. მივხვდი, რომ მასთან ძალდაუტანებლად, სიმდაბლითა და სიყვარულით უნდა შემეღო მისი ცხოვრების სამყაროს კარები, რათა იმედგაცრუება

ქეთი ჭიჭინაძე

კი არა, დასტური მიმეღო მისი სიყვარულისა“.

ასეც მოხდა, მან მოარგო გასაღები და შეაღწია მის ფიქრებსა და ხასიათებში. მიხვდა, რომ უნდა ისწავლო მოთმინება, სიფრთხილე, მაშინაც კი როცა ძალიან გაბრაზებენ, რათა ადამიანში, მითუმეტეს მოსწავლეებში, მისი სულის კვალი უნდა გახსნა და უნდა აღმოაჩინო თუ სად დაირღვა ურთიერთგანწყობა, რა იყო ამის მიზეზი ან რამ წარმოქმნა. სწორედ გულწრფელობა უნდა განავითარო.

გულწრფელობაა მალამო, რომელიც თავშესაფარს მოგიძებნის ადამიანთა ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. ქეთის შინაგანი სამყარო აღმოაჩინა მისმა პედაგოგმა, კეთილზნეობრივი და თავშეკავებული. მათი ურთიერთობა ჰარმონიას დაეუფლა, რაც მთავარია, შემოქმედებითი ენერგია არ იცლება.

განსაკუთრებული აქვს სხვადასხვა როლები, **„შვლის ნუკრის ნაამბობში“ „ია“**, **„მამობილში“ – „ვარიკა“**, **„არჩვი“**, **„გუგული“**. თავდაჯერებულობითა და დაკვირვებით თამაშობდა თითოეულ პერსონაჟს. სული და გული მიუძღვნა ხელოვნებას, ქორეოგრაფიას. სწავლა კი მისი მიზანია!

სიყვარულის უღრმეს ემოციებს უძღვნის სტუდიის ხელმძღვანელი, როგორც ქეთის, ისე ყველა ბავშვს, მის ყველა მოსწავლეს და უსურვებს დიდხანს, დიდხანს დამტკბარიყვნენ თავისი სამშობლოს ცქერით!

ლილიანა გორგაძე

ლილიანა, ერთი შეხედვით ნაზსა და სურნელოვან მინდვრის შეკრულ თაიგულს მოგაგონებს, ბუნებითაც ნაზი და შთამბეჭდავია. ჩემთვის ბედნიერი საათები დგება და აღფრთოვანებას იწვევს, როდესაც ასეთი პატარა ხელოვნების ზღაპრულ სამყაროს ეზიარება. პედაგოგისთვისაც ღირსეული მიღწევა იქნება, მოსწავლესთან მუშაობაში სასურველი შედეგი განუვითაროს.

საკმაოდ ნიჭიერ გოგონასთან აქვს საქმე. ფაქიზად ეხება მასთან ჩატარებულ თითოეულ გაკვეთილს. შვლის ნუკრის თვალებით შესცქერის თითქოს სიტყვაში მარგალიტისებრ მარცვალს პოულობსო. პოეზიისადმი თანდაყოლილი ნიჭი აღმოაჩნდა, ასეთ მცირეწლოვანი მხატვრული სრულყოფილებითაა სავსე. ამას კი ყველაფერს განგებისგან ნაჩუქარი უხვი გონება ჰქმნის. პატივს ვცემ მშობლის ჰუმანურობას, სრულყოფილებას, ხელოვნებისადმი პატივისცემას, რათა მის პატარას გაულამაზოს სამყარო. ხელოვნების თვალით დაანახოს ბუნების, შემოქმედებისა და ადამიანთა ჰარმონიული შერწყმა. ამით ამდიდრებს ბავშვის, სულიერ შთაბეჭდილებას არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ადამიანთა ურთიერთგაგების ჩამოყალიბებაში. სასიამოვნოა, რომ ჰყავს ლილიანა პედაგოგს, სიამოვნებს, რომ მის ცხოვრებას ლაიტმოტივად გაჰყვება ის საიმედო გაკვეთილები, რომელიც ხელოვნების მზიან მწვერვალს გაზიარებს.

გიორგი სინეტაშვილი

კიდევ ერთი **დავით კოფერფილდი.** თვითდაჯერებული და მოაზროვნე. გიორგის თავის მყუდრო ზღაპრული სამყარო აქვს შექმნილი. ფართო აზროვნება მას საშუალებას აძლევს მისაბაძი იყოს და კეთილი ზეგავლენა იქონიოს თანატოლებთან ურთიერთობაში.

ეს ბავშვი მშვიდ და სასიამოვნო განცდებს აღგიძრავს. გულწრფელი თვალები ისეთ მრავალფეროვნებას გადმოსცემს, თავი მყუდრო სავანეში ჰგონია.

გიორგი სინეტაშვილი

ლილიანა გიორგაძე

დიახ, პატარაობიდანვე სჭირდება ბავშვს, როგორც მშობლის, ისე პედაგოგის მზრუნველი ხელი. რადგან მისი თვისებები ასაკთან ერთად იცვლება, სწორედ აქ მეტი ძალისა და გულისხმევაა საჭირო, რათად მოზარდის ფსიქიკა პატიოსნებისკენ წარიმართოს და არა უხამსობისკენ. და სწორედ შემოქმედებაა დიდი მშობელი ბავშვის კეთილშობილური თვისებების ჩამოყალიბებაში. გიორგი ერთ-ერთი იმათგანია ვინაც იცის კეთილხმოვანებისა და გულისხმიერების ფასი.

„ნეტარებაა მასთან მუშაობა. დიდი ნიჭი ჰყვავის მასში. სიცოცხლის კუთვნილებაა და სიცოცხლე მოედინება ისეთი ნაკადით, რომ მის ენერგიას ინატრებ, რომელსაც ბავშვური გულუხვობით, სიყვარულით უნაწილებს თანატოლებს.“ – ასე ახასიათებს გიორგის მისი პედაგოგი, ქალბატონი **დოდო მერკვილიშვილი.**

ვუსურვებთ გიორგის სამყაროს საუკეთესო საჩუქრებს, ბედნიერ ღიმილსა და შემოქმედებით წარმატებებს.

„იმერეთის გვირილებს“ უმასპინძლეს
და გვერდები მოამზადეს

დოდო მერკვილიშვილმა
და ზურაბ ქობალიამ.

გაშარჯოთ, ეე-100 ბაგა-ბაღებო!

დაუღალავმა გარჯამ საამაყო ნაყოფი გამოიღო

სკოლამდელი განათლების სისტემაში ახალი ხედვებისა და გამოწვევების დანერგვა, ბავშვის განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნა, მისი პიროვნებად ჩამოყალიბების საფუძველია. ის სივრცე კი, სადაც ბავშვებს მიუხარიათ და მშობლებმაც იციან, რომ მათი შვილი საიმედო ხელშია, წლების მანძილზე, დირექტორის **მეგი მარღანიას** დაუღალავი შრომის შედეგად ჩამოყალიბდა. მე-11 წელია ენერგიული, განათლებული, ახალგაზრდა ქალი სათავეში უდგას სკოლამდელთა აღზრდას. იგი სოხუმში დაიბადა, ომის დროს, სულ პატარა იყო, როცა თბილისში ჩამოიყვანეს. პროფესიით ინგლისური ენის სპეციალისტია, მხატვრული თარგმანის მაგისტრი. სტუდენტობის დროს, პარალელურად სოხუმის უნივერსიტეტსა და სკოლაში მუშაობდა. 2007 წელს თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ბაღების დირექტორების შესარჩევი კონკურსი წარმატებით გაიარა და ქულების რაოდენობით, ხუთეულში მოხვდა. სულ რაღაც 24 წლის გოგონა ერთ-ერთი დიდ კონტინგენტიანი, 3 ბაღის ბაზაზე შექმნილი, მე-100 ბაგა-ბაღის დირექტორად დაინიშნა. ჰყავს ოჯახი, ორი შვილი.

წლების წინ, ბაღის შენობის მხოლოდ ერთი ფლიგელი ფუნქციონირებდა, დანარჩენში დევნილები ცხოვრობდნენ, არ ჰქონდათ შესაბამისი ინვენტარი. ეტაპობრივად მოწესრიგდა ყველაფერი, ეზოში დაიდგა საქანელები, სათამაშოები, საჩრდილობლები, მოწესრიგდა სველი წერტილები, გაკეთდა გათბობა, ცხელი წყალი, გარემონტდა დერეფნები, ჯგუფები, სამზარეულო. ფიზიკური გარემო შეიძლება ბოლომდე მოწესრიგებული არ არის, მაგრამ მუშაობის შინაარსობრივი მხარე იმდენად მაღალ დონეზეა, ფეხდაფეხ მისდიეს ქვეყანაში განვითარებულ სიახლეებს, ჩაერთვნენ სხვადასხვა პროექტში, რომ მოთხოვნა და მიმღებლობა ძალიან გაიზარდა. დარეგისტრირებულების გარდა, ყოველწლიურად, 200-მდე ბავშვი არის რიგის მომლოდინე. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, გაიზარდა შტატები და ამჟამად 19 ჯგუფში 800-მდე ბავშვს 107 თანამშრომელი ემსახურება. აქედან 5 მზაობის ჯგუფია. ბავშვებისათვის შესაფერისი სივრცე-გარემოს შექმნაში დირექტორის საიმედო დასაყრდენი არიან: დირექტორის მოადგილე **თამარ ჭითაშვილი**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები – **ნანული ჟღენტი** და **ნატალია მესტიაშვილი**; სამეურნეო ნაწილის კოორდინატორები – **მზია ხელაია** და **ლელა ლუაშვილი**; ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები – **თამარ გოგმეჩაძე** და **მარიამ ქავთარაძე**; საქმის მწარმოებლები – **ელისო ბოჭორიძე** და **ეკატერინე ბასარია**.

ყველაზე მთავარი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესია, რომელსაც ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, საუკეთესოდ წარმართავენ აღმზრდელები: **ია შავაძე, მარინე ხმალაძე, მარინე მელაძე, როზა ნარმანია, ირმა კუპატაძე, თეონა ხუტაშვილი, ლია ბუთხუზი, გიული ხუციშვილი, მანანა ხუციშვილი, მაკა ფალავანდიშვილი, ოლღა კოპალეიშვილი, ნინო გოჩიტაშვილი, ნატო მაღლაკელიძე, ზოია ნოზაძე, მაია ნიბლაძე, ინგა ჭანტურიძე, ლიანა ხუბაევი, მაკა შენგელია, თეა კასაბური, მზაღო ნოზაძე, ლამზირა მსხილაძე, მაია ყორშია, ლეილა ჭიკაძე, ნათია ქარჩავა, თინათინ ხმალაძე, ნათია გაწერელია, ზალინა ძუკაევა, ნატო თვაური.**

დასაფასებელია აღმზრდელის თანაშემწეების შრომა, რომლებიც თითოეულ პატარაზე ზრუნავენ. ესენი არიან: **ნანა კახიანი, ლალი კევლიშვილი, მარინე ქარჩავა, ეკატერინე გიორგაძე, ნაზიკო მაკალათია, მაგული გოზალიშვილი, ლალი ბზარაშვილი, ნანა მარგებაძე, ელმირა ფანგანი, თამარ ბეშიძე, გულო წიქარიძე, მარიამ ცისკარიძე, ლალი ნიკოლეიშვილი, თეკლე ხონელიძე, ხატია ალფენიძე, ლალი კავთიაშვილი, თამარ ციმაკურიძე, ესმა მოლაშხია, ჯეირან სარიძე, ვერა ტურტულაძე, მარინა ლიპარტელიანი, თეა გეგეშიძე, იამზე მეზვრიშვილი, ცაცა ტაბატაძე, თამარ ანთიძე, მარიამ გულიაშვილი.**

აღსაზრდელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სარაიონო თუ საქალაქო ღონისძიებებში, ზეიმებზე. სპექტაკლებსა თუ ზღაპრის სამყაროში მოგზაურობისას, ამ ბავშვებს ბადალი არ ჰყავთ, რაც მუსიკის პედაგოგების: **ლეილა მაჩაიძის, ცისანა გრიგოლავას, გენრიეტა ზაქარიაძის, ნათია ცხვარაძის, მაგდა ოღრაპიშვილის** დამსახურებაა.

უკანასკნელ წლებში კეთილმოეწყო სამზარეულოც, ბევრი საჭირო ნივთი და დანადგარი შეიცვალა, თუმცა გაზრდილი კონტინგენტის გამო, ფართის სიმცირის პრობლემა კვლავ რჩება. მომავალში იგეგმება მისი გაფართოვება. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია და აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს. მუდმივად ხორციელდება მონიტორინგი სურსათისა და ბაღების მართვის სააგენტოების მხრიდან. მზარეულები: **მარინე სვანიშვილი, ეკატერინე ბზარაშვილი, იზოლდა პოპიაშვილი, ნანული ბერულავა, ინგა ტურაშვილი, მარინე ოქრომელიძე,** კალორაჟის სრული დაცვით ხარისხიან და გემრიელ კერძებს ამზადებენ.

ბაღის მოვლა-პატრონობასა და სისუფთავეზე ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: **ციცინო ნიაზაშვილი, ნათელა მეშველაშვილი, მაშიკო ქერდიყოშვილი, ლუიზა ცომაია-მაღნარაძე, მარინა კოსიაშვილი, ლოლიტა გამისონია, ხათუნი აბრამიშვილი, ანიჩკა მირიანაშვილი, თამარ ნარიმანიძე, ნათია რუხაძე, ნინო ბადაგაძე, თამარ ედიშერაშვილი, ანაიდა ასატუროვი, ეკატერინე სეფიაშვილი, მაყვალა კილაძე, ირმა გურასპაშვილი, ქეთევან ჭაღიაშვილი, თათია ბარნოვი, თამარ შარიქაძე, მარინე ბუთხუზი, ლალი ღიბრაძე, ანა ყოლბაია, ნინო მარჯანიძე, გოდერძი კოროშინაძე, ზორბეგ კილაძე, ნუგზარ ჯალაღონია, არკადი პოღოსოვი, ლუკა ოთარაშვილი.**

ბაგა-ბაღი ჩართულია ეფექტიან სააღმზრდელო პროექტებში. ინკლუზიურ განათლებაში მრავალწლიანი შრომის შედეგი დაუფასდათ და ბაღი გახდა რესურსცენტრი ქალაქის მასშტაბით. თუ რომელიმე ბაღში ფსიქოლოგი ან სპეც. პედაგოგი უნდა დასაქმდეს, აქ გადის პრაქტიკას და აქედან აწვდიან რეკომენდაციებს ბაღების მართვის სააგენტოს. ეს პედაგოგები უკვე არიან ტრენერ-პედაგოგები, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს, ძალიან მოთხოვნადები არიან და სხვადასხვა ბაღში სხვების დასახმარებლად იწვევენ. ახალ მიდგომებს წარმატებით აყვნენ და შრომა გადანაწილებული აქვთ **ლიანა ქერდიყოშვილსა** და **ბელა ჯოხაძეს** (ფსიქოლოგები), **ეკატერინე სამუშიას** (ლოგოპედი), **ლელა ებანოიძესა** და **მაია ხაჩიძეს** (სპეც. პედაგოგები). ბაღში 45 განსაკუთრებული საჭიროების ბავშვია და ხდება

ყველა მათგანის ინდივიდუალურად ჩართვა პროცესში. ამ მხრივ აქტიურად თანამშრომლობენ მერიასთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბავშვთა განვითარების ფონდთან და სხვებთან.

როგორც **მეგი მარღანიამ** აღნიშნა, ზაფხულის დიდი მოლოდინი აქვთ, რადგან სააგენტო იწყებს შენობის კაპიტალურ გამაგრებას, რომელსაც 2010 წლიდან ითხოვენ. არის ხარვეზი, რომელიც გარკვეული სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს, შეკეთდება – საძირკველი, ფასადი, გარე კომუნიკაციები და ბევრი სერიოზული პრობლემა მოგვარდება.

მრავალგზის გამარჯვებულ ბაგა-ბაღს უფრო გაძლიერებასა და გაბრწყინებას ვუსურვებთ!

ნათია გუგუნავა

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N3 (4578)
27 თებერვალი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009